

1877-1902

იმეორეთ

ყოველწლიური საბავშვო და სალიტერატურო გაზეთი

საბავშვო და სალიტერატურო გაზეთი
საბავშვო და სალიტერატურო გაზეთი
საბავშვო და სალიტერატურო გაზეთი



ბლანტი საქართველოს სსრ სახალხო მხატვრობის ნოდარ გულაშვილისი

ხემავე
 ამბობენ
 "ქართული
 შიშლითა"
 სიავს
 ქართულისს
 ამბობს,
 ხემა
 ცუდს
 არ
 ძალავს,
 უბ
 ხომ
 ცხადი
 სიძულვილია"
 ბრევი
 ამბობენ,
 კარვი
 გული
 ბი
 მაშინვე
 სცხობს—
 ამ
 სიძულვილი
 რადღესიც
 სიუვარულია

ISSN 0132-6015

საქსა

მათაგანი
N° 19-20. 87

გუნდური



ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალბით,
ლამაზ ფალბით
მორთული და მშვენიერი;
უწყინარი,
უჩინარი,
ქედდრეკილი, მადლიერი;
უმფოთველი,
ქვემპროშელი,
რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი,
ვით ჯორ-ცხენი,
ნახედნი და ღონიერი.



ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
ყველა უნჯი,
ყველა მუნჯი,
გულჩვილი და ღმობიერი;
თვალაბმული,
თავაკრული,
პირს ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი,
ყველა ცრუი,

ჰკადამჯდარი, გულხმეირი;
მცირე, დიდი,
ყველა ფლიდი,
ცულლუტი და მანკიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი
განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი,
თავდახრილი,
ყოვლად უქმი, უდიერი,
უზღუდონი,
გზამრუდონი,
არ გამტანი და ცბიერი;
მტრის არ მცნობი,
მოყვრის მეგობი,
გარეთ მსდალი, შინ ძლიერი;
არ რის მქონე,
არ რის მცოდნე,
უზრუნველი და მშვიერი.


ჩვენისთანა ბედნიერი
კიდევ არის სადმე ერი?!

მ. ი. მ. მ.

29 აგვისტო, 1871 წ.



ნახ. პ. ლომიძისა



ზვილი

უკვდავებისა



დიდი ქართველი მეცნიერის ნიკო ბერძენიშვილის ბრძანებით, საქართველოს ისტორიას სამი ძლიერი სვეტი ედგა ბურჯად — ქრისტიანობა, „ქართლის ცხოვრება“ და „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ამ აუღებელი ციხესიმაგრის მეოთხე კედელი **სლია ჭაჭავაძეა! — ყვარლიდან წიწამურამდე განვლილმა გზამ კიდევ ერთხელ დაჰკიდა საქართველოს ცაზე ცისკრის ვარსკვლავი, კიდევ ერთხელ ჩაახედა საკუთარი სულის სიღრმეში ქართველი — ისტორიის აბორიგენი!..**

წიწამურთან ნასროლი ტყვია საქართველოს გულს ასცდა, რომ ილიას მოხვედროდა!.. ახლაც გაფრთხილებასავით ისმის დიდი მოძღვრის ამონაკვეთი: „რას სწადით?! შე ილია ვარ!“

„რას სწადით?!“ — დღესაც რეკავენ განგამის ზარები და დიდი წინაპრის აჩრდილი აღიმართება ხოლმე მყინვარზე!.. რეკავენ, რადგან ახლაც წუმბესა და მღვრიეში უდგას ფენი ზოგიერთ ქართველს, ვინც საკუთარ კანში ჩამაღლულა, თვალბუმი სინარბე უზის და თავისი ორი მსუქანი ლოყა სვეტიცხოველსა და გელათს ურჩევინა!..

სანამ ასეა, სანამ უკეთურების თესლი კიდევ ღვივის ქართულ მიწაზე, ილია მხილვებაა, კიცხვაა, განაჩენია!..

ზოგს რომ ჰკითხოთ, მზის ნათელი ვერ ვართ, თავზე თავთუხვით გვაყრია ბუნების სიკეთე და ტან-ხორციტ ლამაზებს ხელის გულზე გამოგვიცხვია ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალიც იმიტომ მორბის, რომ ჩვენ ჩავგიხუტოს გულში!.. ამდენ სიმდიდრესთან, აბა, ნაკლი რა მოსატანია, ან ჰჭუბის ვისგან დაგვერიგება, ბულბულს რადა დირიჟორი სჭირდება?!..

ასეთი ნარცისიზმი სისხლში გვაქვს გამჭვარი და ლამის შევეჩვიეთ სარკეში თვალდახუჭულად ყურებას! — ესეც ძველი სენია, ჩვენს ეროვნულ ყოფას აფთარავით ადებებულში!.. დიდ ილიას კალამზე ეჯდა ეს ნაკლი, თვალნიღულის ეს სიბრძნე, და ამიტომ ესხა ეკალი დაუვიწყარ სტრიქონებს: „ჩვენი თანა ბედნიერი განა არის სადმე ვერი?!“

იქნებ დღეს აღარ დადიან უყოლისმომთმენ ქართულ მიწაზე მედროვე, საშოლტე ტყავივით მოქნილი, სინდისშეკრევილი ადამიანები, მგლის ტურ-კბილით, ფარისევლის ცბიერი ღიმლით, მლიქვნელის ტპილი სიტყვა-პასუხით აღუღუნებელი სუბიექტები, ვისთვისაც ხალხის, ერის ინტერესები, ბევრი-ბევრი, მუნჯის სიმღერაა, უხელფეროს ცეკვაა და მეტი არაფერი!

ჰოი, ამაპრატავნობავ, ქართველო შადიმანი! იქნებ აღარ გვევლება არსად თავმომწონე უგუნურება, თანამდებობაში ჩათუნებული ჩინოსანი, ორსახოვანი იანუსი, მამული რომ მხოლოდ ამოსაბოყინებელი სიტყვა ჰგონია, ისიც იმიტომ, რომ სიმამდრით თავწაქრული კუჭი ცოტა მოიბოშოს!..

არიან, ჩემო კეთილო, არიან და არც ლუარსაბობაა ისეთი ადვილად მოსარჩენი სენი, კალმის ერთმა ჩხვლებამ ძირფესვიანად ამოაგდოს!..

იცოდა დიდმა მოძღვარმა: გარედან შეყრილი მუნი ვერას გიზამს, სულის ჭუჭყმა და ქავილმა თუ არ მოვიღო ბოლო!..

ერის დიდება, მისი სულის ჩირადნის მზიდველი უკვდავების უსასრულო მართონზე განათლება ფაქიზი ზნე და თვალკეთილი ინტელიგენტობა არისო, — ვასწავლის ილია

მთელი ეს აულა-დიდება კი იმ წლებმა უნდა გითესონ, გირწყონ, გიმეან და ვითიბონ, სულის დასაბურებელი წლები რომ ჰქვია!..

ო, მართლა, „მკირფასო ოთონ წელიწადო!“ ნეტავ როგორ ხდება, რომ დღესაც ფაქულტეტდამთავრებულ ზოგ დიპლომოსანს „ანიდან“ „ჰოიმდე“ ანბანი ვერ ჩამოუთვლია, „რანიანათი“ შესულა და „ოდელიათი“ გამოსულა ამ ჩვენი დალოცვილი „მალეცე-ბიდან, ვითომდა, რას ეტყვი, იმიტომაც ვერ აცნობენ ხაჭაპურივით დისერტაციებსო, მთავარია, პატრონი ჰყავდესო!.. იმ ჩვენს „მეცნიერ“ აფიცარს ეს რომ გაეგო, ქილვაშებს დაიწივინდა!.. ის ჩვენი კეთილი ლუარსაბი კი ძილბურანიდან გამოვიდოდა და აკი ბრიყვულად არ შეგვეკითხებოდა: — „**ვგ როგორა, კაცო?! აი, ბარაქლა, ჩუპრი-ჩუპრი, დარუჯანი!.. აკი ვთქვი, წიგნი თვალის ჭიანჩხნს-მეთქი!**“ — რალას ვიზამთ, პასუხი უნდა დავაზვედროთ: — **ვგ იმიტომ, ჩემო ლუარსაბ, რომ ზოგი საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე და წევრი ემბაზში კი არ დგას, ლაფში გაგორდება ხოლმე!..**

თითქოს სიმბოლურია, რომ ილიას იუბილე ჩვენი ცხოვრების ძირფესვიანად გარდაქმნის პერიოდს დაემთხვა. რა თანამედროვედ უღერს მკაცრი, მაგრამ ყვევარივით გამწვევი სიტყვები: „**მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი... ჩვენ უნდა ვსდიოთ ესლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი...!**“

ტკივილიანია ეს შობადობა, წარსულის შეცდომების აღიარება, მაგრამ ვინც განახლებას ესწრაფვის, ტკივილისა არ უნდა ეშინოდეს, მაღლა უნდა აღვიშაროთ მხილების მახვილი, „**ჩავჭრათ და ჩავაკარბაკოთ!**“ ის ძეგი და ეკალი, მავანთა შეცდომებმა რომ მიგვიყარა მომავლისკენ სავლელ გზაზე! აქვე გვერდით გვიდგას ილია — საქართველოს დიდი თანამდევნი სული. როდის ითქვა:

„**ჩემუდ ამბობენ, ის სიკავეს ქართველისა ამბობს, ჩვენს ცუდს არ მაღავს...**“ და, მიუხედავად ამისა, დღესაც ზოგს გულსყრა ემართება, როცა ნაკლისკენ თითს გაუშვებენ!

გარდაქმნა, განახლება, დროის გვერდით გომამ იყო ილია ჭავჭავაძის სავედრებელი და საყვესარი: „**განვანდლეთ, სულით ავმალდეთ!**“ — დაღადებდა ქართული გენიის

სიამაყე, მაგრამ დიდმა წინასწარმეტყველმა ისიც იცოდა, რომ გარდაქმნა და განახლება მავანს თავისებურად ესმოდა, დაახლოებით ისე, ასპიტი ძველ ტყავ-ქურქს გზაზე რომ მიაგდებს და ცივად მბზინავი ახალი სამოსით დასისინებს ხოლმე!.. ბევრი კიდევ საკუთარი სელისგულის უკან ემალება გარდაქმნა-განახლების ელვასა და ქუხილს —

ერის სახნავიდან გაოჩნებული სარივით გარბის, მადა კი, იცოცნლე, ისეთი აქვს, ის ჩვენი ლუარსაბი განარებულ ტაშს შემოჰკრავდა! — „**ბარაქლა, ჩვენს ჯიშსა, ბარაქლა! ქართველს ქართველობა არ დაუკარგავს!**“ მოდი და ასეთს გააგებინე, რომ წუთისოფელი ტაძარი კი არ არის, სადაც უნდა ილოცო, სამჭედლოა, სადაც ის ოფლი უნდა ღვარო, რომლითაც ენის უკვდავება ირწყვება!..


სხვაზე ბევრი გვაქვს საქართველოს მამისგან ნანადრძივი. განა ცოტა გვყავს დღესაც ისეთი, ვისი სიტყვაც მარცხნივ გარბის, საქმე კი — მარჯვნივ, ფუყე სიტყვებს ნაწმენდით ანევეს და ასე ვალმოხდილი დიდი ამბით დასძახებს ხოლმე „**ყიყლიყოს!**“

ერის სვალნიდელ დღესა?! ნეტავ არ გვაყავდეს ეს არსყოფილნი, მაგრამ არიან და

(დასასრული მე-4 გვ.)



— შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?!



ნახ. ზ. ლეშაშასი

— შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას!..

გაგულს დახედა სულენათგა!..

საგურამოსთან გასროლილ ტყვიის გზა და კვალს ვაყვები, მუხა გააწრა ტილმა, ურის ფარი და საყრდენი, მერე აიჭრა ზეცაში, მზეს აუფარა ღრუბულად, სინათლის ნექტარს წუწნიდა, როგორც ჭაობის წურბულა!.. მზის სხივს დაუწყო თვალთვალი, სურდა მუკაში მოეხრჩო, ქვეყნად სიმართლის სასწორი დაეთრგუნა და მოეხპო, გზა გადაუჭრა, უველა საბოროტოდ და სანაღვლოდ, მაგრამ გაუსსლტა მნათობი, ვარსკვლავად შერჩა კაბადონს. მაშულს დახედა სულენათგა, ერს გადასძახა სმამაღლა:

— ნერვი, ჩემს მიერ დარგული, გაიფურჩქნა და გალაღდა, ერის გოლგოთა გავლიე სელში ანთებულ ლამპარით, იმის შანდალზე დაეიწვი იმის ტუპითი დამტკბარი, ერთი სიცოცხლით ავანთე ასი ათასი სანთელი, ქართლის ცის თაღზე გაეშალე წიგნი — მზესავით ნათელი, ბნელში ჩაკვიდე მზის სხივი, ყინვა გავალღვე კოცონით, ცოდნის ლამპარით ვფანტავდი მტერს, ნიაღვარად მოწოლილს! მისთვის ვიღვწოდი, რომ ყველგან სიმართლის ნერგებს უხარა, აკენების სიმრავლისაგან გალაღებოდა ქვეყანას, ბავშვთა ეღურტულით, სიამით გული დაეტკბო მწუნარე, იმით სიმრავლით დაემრო თვალთგან ნადენი მდულარე!.. რომ მიწას საქართველოსას არ აკლდეთ შვილთა სიმცირით, სასლში არ ჩამოგჯდომოდეთ სულის ობლობის შიმშილი!..

თქვენ კი რას შერებთ? თითო შვილს დაჰკანკალდით და დაჰხარით, ზოგს ერთიც არ ჰყავს, უძიროდ რჩება შოვნისთვის თავმკვდარი, კომფორტისათვის მზად არის, სული მიჰყიდოს ეშმაკსა, ის რა ქალია, რომელსაც ყმა არ ეძახის დედასა?!

იციო, რამ გადაარჩინა ქართველი კაცის ფესვები, მტერთან მებრძოლი ამყავდ, არასდროს დანაკუნესები? — დედა რომ მტერთან იბრძოდა, ესმოდა ქვეყნის წადილი, ერთში აკვანი ეჭირა და მეორეში მანვილი!..

დედა უზრდიდა სამშობლოს შვილებს — გმირებს და ვაჟაყვიებს! თერთმეტი შვილის დედასა ხუთი მტრებმა რომ გასტაცეს, — მაინც ცრემლებით დამდნარმა, ცეცხლით გადამწვარ ბინაზე თერთმეტი კიდევ გაზარდა იმ ჩვენი მტრების ჯინაზე!

შვილია ერის სიმაგრე, ბავშვია ერის საყდარი, უშვილობა კი — პაპათა საფლავს დარტყმული ლანჯარი!

სოფელს მისხედეთ, ის არის ქვეყნის მარანი, ბელელი, მისი მოძულე მტერია, წმიდათაწმიდის მკრეხელი,

იქა გროვდება დოვლათი, ჩვენი სვაკი და ბარაქა, თუ სოფელს კაცი არ შერჩა, რით ისაზრდოს ქალაქმა? თქვენ კი მიანყდით ქალაქებს და სოფელს ზურგი აქციეთ, დედათბილისის საზღვრები გააფართოეთ, გასწიეთ!.. ერთ დედის სითბო-ალურსი როგორ ეყოფა ქვეყანას? სიცოცხლე უნდა ხარობდეს ჩვენს მიწა-წყალზე ყველგან! შრომის სუფევით მამულში უნდა აყვავდეს ხმელეთი, ცოდნის სინათლით დნებოდეს უმეცრებისა ბნელეთი, რომ გორგასალის საუფლოს უვლიდეს შრომის ფერხული, მამა-პაპათა მიწაზე იდგეს თუში და ხევსური!..

რომ ვაზი საქართველოში სინარულითვის ხარობდეს, მემთვრალე ლოთბაზარასთვის მხოლოდღა ძმარი კმაროდეს! წიგნი წყაროა სიბრძნისა, მისი ენა და მოძღვრება, იმითი ხარობს, ხალისობს ჩვენი ფიქრი და ოცნება!.. მაგრამ ზოგ-ზოგმა წიგნები გაეცვალა ცისფერ ვარანზე, კედლებში გამოკეტილმა კლიტე დაიდო ენაზე, მის გვერდით ათევს, ალაშქრს იმით ხარობს და ლაღდება, აანთებს — გაუხარდება, ჩაქრება — დანიაღვლება!..

ეკრანით დაავადებულს სხვაზე არცა სურს იფიქროს, ლამის ქუნაში ვასვლისას კისერზე ჩამოიკიდოს! ერთი თხოვნა მაქვს ყველასთან და ჩემი რჩევაც ეს არის: წიგნებს ნუ გაებუტებთ, ზოგჯერ გამორთეთ ეკრანი!

ჩემი სამშობლოს მერმისი, მისი სიცოცხლის სილაღე, ამერ-იმერის მიწაზე გამარჯვებათა სიმრავლე ჩემი არსობის გზა იყო, ჩემი გულისგან ნანატრი, უსაქართველოდ ყოფნა მხოლოდ ცოდვა და ღალატი! გახსოვდეთ, დედის ტკივილი შვილთა აღერსით რჩებოდა, მტერი ჩვენს ერთად ყოფნისას მცირდებოდა და დნებოდა, მიტოვებდ ერთად იყავით, ერთად შეუბით სტიქიონს, ათასი, ერთად შეკრული, ბევრჯერ სჯობნიდა მილიონს! აწმყოა ქვეყნის მესაჭე, ჩვენი წარსულის სიმაგრე, აწმყოა ფუძე მერმისის, მისი დვრიტა და სიმაღლე! ნაოფლარ ფესვზე ამოდის სიკეთის ყველა ნუგბარი, შრომით გავრთობილ მიწა-წყალს ვერას დააკლებს დუშმანი! დღესა სჭირდება სამშობლოს თქვენგან შექმნილი, ნაძვრწი, მამული გწამდეთ, გიყვარდეთ! — ეს არის ჩემი ანდერძი!

ვალერიან მამუკალაშვილი

(ჟურნალი „ეზმაპის მათრახი“ № 30, 1908 წ.)

ილია სასიამოვნო მოსაუბრე იყო, მაგრამ მოუღალავი მოლაპარაკე კი არა, მისი საუბრის სიმშვენიერე ლამაზ ფრაზებში არ გამოიხატებოდა, არამედ ლამაზსა და მახვილ აზრებში. როცა ილია ვინმესთან საუბრობდა, დამშვიდებით ისმენდა მის აზრს, ხოლო როცა მოსაუბრე გაათავებდა თავისას, ილიასაც მზად ჰქონდა მოკლედ მოჭრილი პასუხი. თავის საუბარს ილია ხშირად იუმორით აზავებდა და ზოგჯერ ნაკვესებსაც ჩაურთავდა ხოლმე. იუმორი დიდ სიამოვნებას ჰკვირდა მას და ხალისიანადაც ისმენდა სახუმარო ლაპარაკს. თვითონაც უყვარდა ხუმრობა არა მარტო გასართობად, არამედ სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მძიმე გონებრივი მუშაობის შემდეგ დასასვენებლად.

...მალე ჩვენს საზოგადოებას ახალი სტუმრები მოემატნენ. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე და მისი მარჯვენა ხელი — გიგო ყოფშიძე, ვაჟა-ფშაველა და ვანო მარჩბელი. არაჩვეულებრივი ყმაწვილუკაცები იყვნენ — ორი თავადი და ორი მღვდლის შვილი. ილია ნელა, ფრთხილად გადმოვიდა ეტლიდან. ვიდრე შემოგვიერთდებოდა, თვალი მიმოავლო არემარეს, შემდეგ დინჯად მიუახლოვდა სუფრას და ღიმილით უთხრა გოგებაშვილს, შენი აქ ყოფნა მიკვირსო. რას მოასწავებს ეს ამბავი, რომ თბილისი მიგიტოვებიაო.

იმ დროს ქართველებში ბევრი იყო გეგაშვილისთანა, ვინც მთელ თავის სიცოცხლეს თბილისში ატარებდა და ბორჯომში თუ გაემგზავრებოდა საზაფხულოდ. ილია ჭავჭავაძემ და ვანო მარჩბელმა თან მოიტანეს ქართული იუმორი. ილია ესუმრებოდა გეგებაშვილს და მარჩბელიც შველოდა. ჩქარა ყველა გაუმხიარულდით.



ღრუბლებში ამაღლებულა!..



მიუხედავად ილიას უსაზღვრო ავტორიტეტისა, კარიკატურისტი ბასრი კალამი არც მას ასცდენია!



ილია ჭავჭავაძემ, საადგილმამულო ბანკის მმართველი, ეუბნებოდა ილია ჭავჭავაძემს — გაზეთის რედაქტორს: — ბატონო რედაქტორო, თქვენ მომაყენეთ შეურაცხყოფა, როგორც ბანკის მმართველს! გთხოვთ, დანიშნოთ დუელის დრო და ადგილი! (ჟურნალი „ვალანგა“)

ვანო მარჩბელი და ვაჟა-ფშაველა ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლუსს წარმოადგენდნენ. ვაჟა-ფშაველას ჩიხა-ახალხნი ეცვა და თავისი გარეგნობით არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს რევოლუციური მკვიდრისაგან. ის გლეხი ან პნაური გეგონებოდათ. ვაჟა თავის გარეგნობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, როგორც ყველა მაშინდელი სემინარიელი. ვანო მარჩბელი მასთან შედარებით ევროპელი ფრანტი იყო. ვაჟა-ფშაველა მთელი თავისი პოეზიის სიმდიდრეს პირველყოფილი ფშაური განემოხიდან და თავისი მთლიანი სამშობლოს ბუნებიდან იღებდა, ვანო მარჩბელი კი ცდილობდა, რაც შეიძლება ბევრი გადმოენერგა დასავლეთ ევროპის გონების ნაჭირნახულები ქართულ ნიადაგზე.

მალე აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე და პეტრე უმიკაშვილიც მოვიდნენ. აკაკი მედიდურად მოვიდა მაგიდასთან და როგორც გონების საყაროს მპყრობელს შეეფერებოდა, ცდილობდა მაშინვე სათავეში ჩასდგომოდა სჯა-ბაასს. იმავე წუთს რამდენიმე ჭკამახვილი სიტყვა გადმოისროლა, რამაც დიდი ხარხარი გამოიწვია, თვითონ კი სერიოზული სახე შეინარჩუნა.

ანტონ ფურცელაძემ, ჩვეულებსამებრ, როგორც კი შეამჩნია, საუბარი სხვა საკითხებს შეეხოს და არა ლიტერატურასო, მოითხოვა, რომ ილია ჭავჭავაძეს დაეწყო ლიტერატურაზე ლაპარაკი: — მე ვიცი, შენ არ შეგიძლია ულიტერატუროდ ცხოვრება, მაგრამ ლიტერატურას კი შეუძლია გასძლოს უშენოდო! — იხუმრა ილიამ. ბოროტად არავის გაუცინია. სადილი მხიარულად მიდიოდა.

მაშინდელ დროში ეს მწერლები შეადგენდნენ ერთ მთლიან ოჯახს და სრულიადაც არ ფიქრობდნენ პარტიებად დაყოფას.

არტურ ლანსტი



ქართული ჟურნალისტიკის ძიძა (ილიას ხელში უჭირავს სერგეი მესხი და ივანე მარჩბელი).



საშინაო მიმთხილვა

ვიცი, რომ ბევრი აწუხებს, — წელს ძალზე გადაღლილია!..
 სხვა გზა არა მაქვს, რჩევისთვის მივმართავ ისევ ილიას!
 ყავლი გასვლია (დღეს ვხედავთ!) რაც გუშინ, თითქო,
 ვარგოდა, არათუ მძიმე, ქვემძიმე კითხვებიც ბლომად დაგროვდა!
 მთლად ექსტრაექსპერიმენტის აღმოჩნდა ბევრგან
 ბერწი და ჩემი გონება არ ეყო, ყველაფერს უცებ ვერ მისწვდა!..
 ერის ჭირბოროტს ვუწამლეთ! გვსურს უკეთესი
 ვიხილოთ! გთხოვთ, თქვენი გულით, თვალებით ქვეყანა
 მიმოიხილოთ!.. „გგონიათ აქ კი მასვენებს მანდ დაწყებული ფიქრები?
 საქართველოსთან, აკი ვთქვი, მარად და ყველგან
 ვიქნები! ვამბობ, თუმც ადრეც მიბღვერდა თავმსუბუქი და
 თავცეტი, ეკონომიკა ღონეა — სახსე სჯობია დაწრეტილს!..
 აქა ჩანს შენი ბიჭობა, რა მაჯა შეგრჩა, რა მხრები,
 მსუყეს სხვა ცხვირწინ აგათლის, თუკი წახდი და
 გასუვდი! გემღერებოდეს — ვერ იმღერ, დაკვრითაც ვერას
 დაუკრავ, ხმაღზე ვამბობდი!.. ატომმაც, ვხედავ, ფულს თავი
 დაუკრა! შემოსავალი კუტდება!.. ყველა თუ ცალფა გაიწევს,
 ჭერში ქუდს ისვრით ადრიან, საქმე წინ როგორ
 წაიწევს?! ფლანგავთ და მერე ღონდებით, უსახსრობას
 მოსტირით, უფრთხილდით-მეთქი! — კრედიტი მახვილი არის
 ორპირი! დღეს შეგიძლიათ რამდენი!.. და იცით, გული რად
 მწყდება? —

დაბოლოება არ იცით! გიშველით მარტო დაწყება?!
 სხვისას თუ არა, საკუთარს არ უფრთხილდებით
 ხალხსა? **საქართველო**
 რა პაიპარად ანიჭებთ უხარისხობებს ხარისხსა? **საქართველო**
 კანონი ყველგან ერთია ჯიბის დაცლის და ავსების,
 ძირები როდის მოვჩხრიკე მე მაგ თვითდაფინანსების!
 თვითმმართველობის თავთავი თუ არ ამოდის თავიდან,
 ქარის მოტანილს, ცხადია, კვლავ წააბრძანებს ქარი და
 მიუტანს, ვინაც მარჯვეა, პირუტყვი და პირმტყვიც!..
 მაგ გულზე ბაგუნს მოეშვიოთ, გადამლაშება ნუ იცით!
 სამკალი უნდა მოიმკას! — გულიც, გონებაც დაგეშეთ,
 მცდელობას აკლებთ! ივარგებს სპილო ხორთუმის
 გარეშე?!
 ჯიბის ინტერესს ერისას ნუ ანაცვალებთ,
 გაფრთხილდით, ჯერ ფრთები, ფრთები შეისხით, მერე, ვინ გიმლით,
 აფრინდით! ფუყე რად გაგიბღენძიათ, რად დადის მძიმე-მძიმედა?!
 სხვების გატიკნილ ცურს ღეჭავს!.. ცუდლუტიც
 გამეცნიერდა?! ვერ ვგუობ კაცში ნაკაცარს, სულ სათავისოდ
 კირკიტას, კანონზე, როგორც კვარცხლბუკზე რომ დგას, კანონი
 ვით იტანს?! ნუ დათითოვდით, ასხიპეთ შურის და შულლის კაქტუსი,
 არ დაგვლიოთ საქმე და საქმეში — სინდის-ნამუსი!
 ნეტა, არ გეთქვათ! ვის ვუთხრა?! შოთა და საბა
 მიმელის!.. ვაი, ზარო და სირცხვილო!.. მე ქაობითაც
 პირველი?! ის ნახეთ, ქართველს რაც სტკივა, რაც აერთებს და
 რაც კონავს, დროთა ძარღვს, მარჯვედ მიგნებულს, ნუ დაანებებთ
 ნარკომანს! კნინს ნულარ დაეკბინებით, თქვენს თავზე თქვენით
 ამაღლდით! — ესაა ჩემი ვედრება, ესაა ჩემი ღაღადი!“

ზაზა კასიაშვილი

ნახ. დ. ზარაფიშვილისა



— მოძრაობა და მარტო მოძრაობა!..
 — მე ის თამრო აღარა ვარ!..



— მიგიხვდი... რა ნემსითაც ხარ
 ნაჩხვლელი!

ილია ჭავჭავაძე საცხოვრებლად ანდრე-ვის ქუჩაზე გადავიდა. ერთ საღამოს, როდესაც სახლის დაღაგება მთლიანად დაამთავრეს, ვესტუმრე ოლღას. იქ დამხვდნენ ოლღას დის შვილები: რუსუდან მელიქიშვილი, შალიკაშვილის ცოლი — ნინო, ორი ვაჟი სტაროსელკისა. იყო დიდი მხიარულება და გართობა.

ილია ეთამაშებოდა შალიკაშვილის ბავშვებს. ილიასთან ცხოვრობდა მისი ნათესავი შალიკო ჭავჭავაძე — ყოფილი სამხედრო. სამხედრო სამსახურის ვადა გასული ჰქონდა და სახლში იყო. ფორმას მაინც არ იხდიდა. ილიას ახალ სახლს სასადილოში გასასვლელად სამაფხურიათი კიბე ჰქონდა. კიბესთან ფარდა იყო ჩამოფარებული, რომელიც ხელით შეხებისას იშლებოდა და იხურებოდა. სტუმრებთან ზოგი ლექსებს ამბობდა — ფარდა გაწეული იყო და ჩვენ სასადილო ოთახიდან კუნძუროდით. ამ მხიარულების დროს ილია მივიდა შალიკოსთან და უთხრა:

— აბა, ერთი, შენ გენაცვალე, მითხარი: როგორ გამოეჭიმებოდი სოლმე გუბერნატორსო.

შალიკომ უპასუხა:

— ეჰ, დამინებე თავი, რა საჭიროა! ილიამ სტაროსელკის შვილებს თვალთ ანიშნა, რომ მათაც ეთხოვნათ. ისინიც თან თხოვდნენ და თან ტაშით იწვევდნენ. შალიკომ ამდენ თხოვნას ვეღარ გაუძლო და ერთხელ გაითამაშა. აღარ მოეშენ და სამჯერ გამეორებინეს. ილია ისე სმამალა იცინოდა და ხარხარებდა, რომ ჩემს სიცოცხლეში ეგრე მოცინარი და მხიარული არ მინახავს. შალიკომ დახურა ფარდა და ბავშვებს უთხრა:

— მე რომ გამოიყვანეთ სენაზე, ახლა ილიაც გამოიყვანეთ. ბავშვებმა კვლავ ასტენეს ტაშის ცემა და ყვიროდნენ:



— ძია ილიკო! ძია ილია! თქვენც გვითხარით რამეო.

ილია ჯერ დიდ უარზე იყო, მაგრამ ოლღაც შეეშვეს:

— შენ გენაცვალე, ილია, თქვიო.

ზოგი ეძახდა „ტყემ მოისხა ფოთოლიო“, მაგრამ ოლღამ თხოვა „კაცია-ადამიანიდან“ „ჩუპრი, ჩუპრი“ წაიკითხეო.

ილიას მაშინვე მოუტანეს მუთაქა და ბალიში, რომელიც მან ბავშვივით დაიჭირა. გასწიეს ფარდა, გამოვიდა ილია და შესანიშნავად წაიკითხა „კაცია-ადამიანიდან“ ის ადგილი, სადაც აღწერილია ლუარსაბის ალერსი მომავალ შვილთან. ისეთი აღტაცება და ჟრიაბული გამოიწვია ამ გამოსვლამ, რომ ერთი არ აღიწერებოდა. ოლღამ ილიას აკოცა. ილია ისეთი მხიარული, როგორც მაშინ იყო, არასოდეს არ მინახავს.

...მშორი სტუმარი გავხდი „ივერიის“ რედაქციისა. ერთხელ, როცა ჩვეულებრივად ცნობები მოვითანე, რედაქციაში ილია და გ. ყიფშიძე იყვნენ. უცბად კარები გაიღო და ნიკო სიზანიშვილი შემოვიდა. ილიამ შეხე-

და და შეხება: — დიდ გლქებს გაქმარჯოსო! ნიკომ უპასუხა: — დიდ თავადს გაქმარჯოსო! ამას მოჰყვა სიცილი და მხიარული ბაასი. მე გამაკვირვა ნიკო სიზანიშვილის სითამამემ ილიასთან, მაგრამ შემდეგ გავიგე, რომ ისინი ერთმანეთთან შესუმტრებულნი იყვნენ...

შეტად საყურადღებო იყო ნ. სიზანიშვილთან მოწყობილი საღამო. სიზანიშვილს ცოლად ჰყავდა ჩვენი სასიყვარულო მსახიობი ქალი ელისაბედ ჩერქეზიშვილი. ნიკო და ლიზა მეტად მხიარული მასპინძლები იყვნენ. მათ ენამახელობას, ქილიკსა და ხუმრობას საზღვარი არ ჰქონდა. მათ ხუმრობაზე ილია თავისებურად დინჯად იცინოდა...

ილიასაც ჩვეულებად ჰქონდა გამასპინძლებოდა თავისი რედაქციის თანამშრომლებს შაბათობით.

შაბათი დღე იყო. ჩვეულებრივად ახალი ამბები მივიტანე. გიგოს ჩავბარე... ის იყო, რედაქციიდან გამოსვლას ვაპირებდი, რომ ილია შემობრძანდა. მაშინვე სალაში მივეცი. იქვე იყო ნიკო სიზანიშვილი. ილია ყველას მივიხალმა, მერე ნიკოს მიმართა:


— სომ იცი, ნიკო, დღეს შაბათია, რედაქციის თანამშრომლები ვახშმად ჩემთან მოვლენ. ის მეკატლელტე წამოიყვანე! — წაიხუმრა ილიამ. ნიკოს გაეცინა:

— შენისთანა მეკატლელტე ვილა? ჯერზე 10-12 კატლელი არა გყოფნის!

ატყდა სიცილი.

...მშენიერი, უხვი ვახშამი იცოდა ილიამ. გარდა კარგი გამასპინძლებისა, იმართებოდა მეტად სასიამოვნო სუა-ბაასი, სიმღერა და მხიარულება, სადღეგრძელოს სადღეგრძელო მოჰყვა, მოსწრებული სიტყვები, ენამახელობა.

ოლღა აგლაძე



ნ.ს. ჯ. ლოლუასანი

— ობ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი..



— თვით შენი შვილიც ჩრდილად შესცვალა..

ნარკოტიკი

მას აქვთ, რაკი შენდამი ვსცან მე სიყვარული, ოპ, ნარკოტიკო, გამიკრთა მე ძილი და შუება! თუ კაიფი მსურს, შენ დაგეძებ გაგიყვებულდი, დამე თენდება ვგრეთ ჩემი და დღე დამდებ! ოპ, ნარკოტიკო, ჩემი ფიქრი მხოლოდ ის არი, შენ მოგიბოვო, მოგიხმარო და მოვიარო! რისი მამული?! — კაიფია ჩემი მიზანი, და კაცობასთან არაფერი მაქვს საზიარო!

ლოთი

გოლეიან დღესა ტფილისშია შუა ბაზრისკენ მე ჩამივლია... ჩემო ლოთო, მინახვიანარ შენ გაზონში მწოლი!.. სალხი ზიზღით შემოგვერებდა!.. ღორსა პკავდი და ვე მსგავსება გულს მიწყულულედა!.. მაგ წითელ ცხვირზე შედ გვეწერა შენი ცსოვრება — სირჩა არყისთვის დამდამლება, გამათხოვრება! ვინა ხარ შენა, ჩემო ლოთო? სიღამ მოსულხარ? პატიოსნებას, შრომას, ოჯახს გამოქცეულხარ!.. როგორ დაეცი?! რაც დაკარგე და რაც დასტოვე, მის მაგიერი ლოთობაში, აბა, რა პპოვე?!..

ბაზარული

ბოლოც შენის ფოთოლი, აგერ გოჭიკა სჭყვივის!.. ქორეპარო ობოლი მეტის ღწინითა სტირის.

რა ვსურს, სულს და გულს, მოსავალის დგას მოუბი!.. შენ, კიტრო მუხრანულს, როდის გაიფიქრებ?!..

ნუგზარ ახსნაზა

ნაფუვეტი „ოთარკანთი კვრივილან“

„ბასტიმს ძვასაცა მამარსა...“

მიზაძვა

მზემ ადგომა მაინც ვერ დაასწრო: ოთარანთ ქვრივი პირდაბნელი და ტანთაცმული იყო, როცა მზემ ძლივს ამოჰყო თავი მთის წვერიდან. დედას შვილი ისევ ლოგინში ეგონა, როცა, აქაოდა, შვილი არ გაგაღვიძო, ბნელ სახლიდან ფხაკრფით გარეთ გამოვიდა ცოცხით ხელში დერეფნის დასაგველ-დასაწმენდად. გაუკვირდა, რომ თვალი შეასწრო გიორგის კაკლის ქვეშ ჩრდილში მწოლარეს.

— შვილო, ამდგარხარ კიდევ, მე კი ისევ ქვეშაგებში მიგბულე-ბოდი!
— ძილი გამიკრთა, დედი! მე ჩემი ვქენ, ძილმა თავისი, არ იქნა, არ დამძინა. გამიხარდა, რომ გათენდა და გარეთ გამოვედი.
დედა მივიდა, თავით დაუჯდა შვილსა და თავზე ხელი გადაუსვა.
— გიორგი, შენ მაინც შენსას არ იშლი!
— რას მიჩივი, დედი?
— რაღაც ნაღველი გაქვს, შვილო, რაღაც ნაღველი!.. წუხელის შენმა ჯაგრმა არ დამაძინა. რას ჩაკეტილხარ და დახურულხარ შენს გულში? შვილო, დედა ვარ და არა უცხო! შენი ჯაგრი გულში ჩამიჯდა ჭიასავით და ჭიასავით მფქვავს, შემებრაღე და მაცოცხლე! გიორგი მაშინვე წამოჯდა, თითქოს ცეცხლი შეუკეთესო. პირველი მაგალითი იყო, რომ მისმა გულგაუტენელმა დედამ თავი შეაბრალა.

შვილმა შეხედა დედას, ოთარანთ ქვრივს ცრემლი მოსდგომოდა თვალებში.. ოთარანთ ქვრივი ჰტიროდა!.. ამის მეტად დედის თვალზე შვილს ცრემლი არ ენახა.

შეწუნდა გიორგი, ჩაუფიქრდა თავისთავს — დროა თქმისა თუ არაო?!

— დედი! — წამოიძახა ბოლოს, — გეტყვი და ნუ შემრისხავ: შენი უნებური საქმე მწაიდან. რიდი მქონდა შენი და ვერ გეუბნებოდი, წადილი კი ვერ მოვიკალ, აი, რამდენი ხანია, ვეჭიდები!..

— რა არის, შვილო, შავისთანა? — უბასუხა დედამ და მსწრაფლ უკუიქდა თვალთავან ცრემლი, ოთარანთ ქვრივი მაშინვე გამოიცივალა და კვლავ საქმიან დედაკაცად იქცა, რაკი სიტყვა საქმეზედ მიდგა.

— სოფლიდან მიხდა წავიდე! გული შინ აღარ მიდგება!..

— ეგ რა სთქვი, შვილო?! მამის შენის შვილი, კარგი ოჯახისა და ზურის პატრონი, აგრონომის დიპლომით სოფლიდან მიდისხარ და ბოგანო საქმოსანი გინდა გახდე?! მარანში ცივი კახური ღვინის ნაცვლად ტურტლიან სახინკლში ნაწყუმპლი ლული უნდა სვა?! საიღამ სადაო?! სომ საფლავში გადატრიალდა მამაშენი სირცხვილისაგან?!
— ამას ვშიშობდი, დედიჯან, რომ გაწყენდი!.. მეც შემებრაღე, ადამიანი ვარ!..

— მერე რა წაგეკიდა სამაგისო? — დედამ ჯერ ავეჯით გაწყო-ბილ ორსართულიან სახლს შეავლო თვალი, მერე კარგად მოვილილ ეზოსა და გაარეს, სადაც წნორის ფოთლისფერი „ჟიგული“ იდგა.

შვილმა თავი ჩალუნა და როდის-როდის ამოიღო ხმა:

— დედი, თავმომწონე კაცი „ჟიგულით“ ვინდა დადის ჩვენს დროში?! თავი ცოცხალი არ მინდა, თუ „გაზ-24“ არ გავემანსე!.. ოთარანთ ქვრივს თავისი ხუთივე ქისა ერთად გაახსენდა, ზედ კიდევ შემინახველი სალაროს წიგნაკიც დაამატა, მაგრამ საამისოდ მაინც ეცოტავა შრომითი დანაზოგი და გული დაუმძიმდა!..

— მაინც რა საქმეს გინდა მოჰკიდო ხელი? — ჰკითხა გულდა-თუთქულმა.

- ერთდერთი პროფილაქტიკა! ან იქ მივალ, ან არსად არ!
- ვისი პროფილაქტიკა? ვინ არის, ფულიანი კაცია?
- ჰო, ფულიანია! — ძლივს ამოდერდა გიორგიმ.
- აქ, ჩვენს რაიონში?
- ჰო, ლახიან არჩილას უნდა დაგუდეგ ხელობაზე!
- რა ხელობაზე?
- ჯერ „ჟესტიანჩიკად“ მინდა, მერე ვნახოთ!..

ოთარანთ ქვრივმა ესლა კი თითზედ იკბინა, თითქოს რაღაც ენიშნათ, რაღაცას მიაგნო, ლახიან არჩილას სომ ერთი გონჯი გომბიო ეჯდა სახლში, ძე კი არ ჰყავდა. შვილს გადაწყვეტილი არა უთხრა რა, აღარც შვილი გამოეკიდა, თითქოს დიდმა საგონებელმა აღარ მოაყალაო.

ელგუჯა მერაბიშვილი

ილია არ იყო ჩვეულებრივი მოკვდავი და ყოველგვარი ადამიანური გრძობის გამოხატვა უჩვეულო იყო.

ბანკის საქმეთა მოსაგვარებლად პეტერბურგს წასული ილია თავის სიღარიბეს ასე დასცინის თლასადმი მიწერილ ბარათში:

„ესრიკ და ვლრიალებ აგრე ჩვენის ფინანსების გამოღვაჭედ, მაგრამ ჩვენი შექმნი იყოს მაღალი ღმერთი, რომელსაც არა აქვს ისეთი ჩვეულება, რომ ფულენი ცილდამ ჩამოყაროს. მაგრამ მაინც კიდევ იმედია — რამდენი ჩვენზე უფრო უფულოა და უნუგეშო. თუკი ისინი თავს არ იტკივებენ, მე და შენ ხომ სინარული გვეკუთვინს. ვიყვნეთ ორნი ტოლნი, ორნი მეგობარნი, გულუნუად და ჯიბე კურთად უფრო სუბუქად ვივლით, იმიტომ რომ გულუნუნობას წონა არა აქვს. ვაი მილიონერებს, რომ ფული ბევრი აქვთ და გრძნობა ცოტა. ნეტა ჩვენ, რომ გრძნობა ბევრი გვაქვს და ფული კი ცოტა. ორნივე ერთად რომ იყოს, შეტისმეტია!“

ერთ წერილში ახალგაზრდა მეუღლესთან ასე „გაკვირი“ და „უბრალოდ“ აღნიშნავს თავისი გარეგნობის მთავარ „ღირსებას“:

„საწყალი გრეკი სინარულისაგან სრულად გაშრა და არ იცოდა, რა ექნა. და ბოლოს მოვიდა ჩემთან. მე მეგობრა, ჩემი კაცია უნდა შეთქი და მეც კაცისათვის მოემზადე. მომეხვია საწყალი და ისე აირია, რომ პირის ბავიონად მუცელზედ მაკოცა. სიცილით დავინოცენით. მართალია, ჩემი მუცელი, როგორც მოგეხსენებათ, პატივსაცემად გაბურღია, მაგრამ მაინც და მაინც კაცისათვის დანიშნული არ არის.“

ილია, მოგესხენებთ, თავადი იყო და დღევანდელობის კვლობაზე გვიარანი შემოსავლიც ჰქონდა. მაგრამ უფრო გვიარანი გასავალიც ჰქონდა. ერთი მაგალითიც ექმარა: თბილისში ჩამოვიდა ფრანგი ჟურნალისტების ჯგუფი, ასევე მეტი კაცი. ილიამ ასე განსაჯა: „რომ არ განმორდეს ოინები იმ ერთის გუნდის შენგირებისა, რომ ლეხსაც ამოძრავებს ორი ერთის ერთმანეთზე გადაკიდების უკადრისი სურვილი და ჩვეუად აქვთ ჩვენი ძაგება და სახელების გატეხა და ხერხები იციან უცხო კაცის გაბრიყვებისა“ და რომ „ჩლუნგთა, ზნედაცემულთა, დატაკთა და მსდალ-ლაჩართა დალით ბეჭდდასმული არ გაისტუმრონ ქართველის სახელი ევროპაში“. ეს ასევე მეტი ფრანგი ჟურნალისტი სამი დღით მიიწვია საგურამოში, რომ „ჩვენგან შეეცოთ აქაური ავი და კარგი“.

თქვენი არ ვიცი და, მე ტუნწი არა ვარ, მაგრამ კარზე რომ ზარს დამირეკვენ და სათვალთვალადან გავიხედავ, ას სტუმარს კი არა, ერთსაც რომ დავლანდავ, ვიძილები, თუ, რა თქმა უნდა, პირადი გამორჩენა არა მაქვს. თქვენი არ ვიცი და, თუ ფრანგ ჟურნალისტს გამოველაპარაკები (თუკი იმამდე მიმიშვებს), ხომ იცით, რაზე ჩამოვუგდებ სიტყვას? რა ექნა, ჩემს ცოლ-შვილს ჩაცმა-დასურვა უნდა? თქვენი არ ვიცი და, მე სულაც არ მაწუნებს, როგორი „ბეჭედ-დასმული წავა ქართველის სახელი ევროპაში“.

როგორც კიტა აბაშიძე ამბობდა, „ილიას სიყვარული ქვეყნისა შიდილიდა თავის თავის უარყოფამდე!“ აი, ეს თავის თავის უარყოფა აიძულებდა ილიას, არ ეფიქრა საკუთარ პრესტიჟზე, ზოგის თვალში ტუნწ და ხელმოჭვირილ ვაცად წარმდგარიყო, ოღონდ ამ „ხელმოჭვირილობით“ დაზოგილი თანხა ისევ საჭვევნო საქმეს მოსმარებოდა. გაზეთი „ივერია“ ზოგს საქმეში ჩაუნებდავ ადამიანს შემოსავლის წყარო ეგონა, ეგონა, რომ „მემამულე ჭავჭავაძე“ გაზეთის საშუალებებითაც ზრდიდა თავის „უმრომელ შემოსავალს“. მერე, როცა „ივერიის“ გამოცემის საქმე ილიამ გადასცა ალექსანდრე სარაჯიშვილსა და მის ამხანაგებს და ისინი ორიოდ თვეში ვალში ჩავივდნენ და მიატოვეს გაზეთი, მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ, რამდენად ზარალიანი იყო ეს საშვილიშვილო საქმე (რა თქმა უნდა, მატერიალურად).

ერთი სიტყვით, სახელით „დიდი მემამულე“ იყო თავადი ილია ჭავჭავაძე, გარეთ მტრებს უბრმავებდა თვალებს, შიგნით კი მოყვარემ კარგად უწყობდა, რა ქონების პატრონიც იყო ერის მამა. ეს კი ყველამ მერე გაიგო, მისი მოკვლის შემდეგ..

მანამდე კი თვითონ ილია მხნედ, იუმორის იარაღით ებრძოდა უფულობას და მასთან დაკავშირებულ გაჭირვებას.

ერთ დროს ყვარლის მამულს ილიას დისწული გიგო ახსანი მეურვეობდა. ერთ წერილში ილია მას სწერს:

„პირველად უფალსა ჩვენსა ვსოსოვ თქვენი ბრწყინვალეების ბედნიერებით სუფუვს, და მეორედ გახარებთ მას, რომ კურთობასა ზედა თქვენმა ჩივილმა გასჭრა, ამა გაჭრაბა გახსნა ჩემი ჯიბე თქვენდა საკეთილოდ და ამის გამო გიგზავნით ხამს თუმანს. ამას წინადა სიუხვემან ჩემმან მოგართვით ერთი თუმანი გოგია ღვინია-შვილის ხელით. დარწმუნებული ვარ, რომ რისხვა თქვენი აქამომ-დე როგვს დაჰკრავდა იმ უბედურს თუმანსა და იმ თუნქიდა მწფლეთებც აღარ იქნება.“

მილოცავ ჩვენის დიდის ღირის მშვიდობით განთავისუფლებას და შეილიერებას. მისხარის ეს ამბავი ფრიად, და ფრიადაც მშურს, რომ ჩვენის ღირის ძეობაში მარტო თქვენ დაესწრობით!..“

ილია გიგო ახსანს ასე მიმართავდა: „დიდის ყვარლის მებატონის დიდო მოურავო!“, „ჩემო მოურავთ-მოურავო!“

„ანლობლებისა და თანასოფელი გლეხების წრეში ილია ბავშვივით ხალისიანი იყო, „კოკებს თავზე“ არავის ამტკვრევდა: ერთ-ერთი წვეულების დროს ლევან ავალიშვილმა ღვინით სავსე დიდი ჭიკა მიაწოდა ილიას.“

— ვერ დავლევ, ჩემო ლევან, თავი მტკივა! — იუარა ილიამ.

— აბა, მამ, შენი ჭირიმი, ეგ თქვენი ავადმყოფი თავი გამიცვალეთ ჩემსაში!

— წაგებ, ლევან, დამიჯერე, წაგებ! — ანუგემა ილიამ.

ილიას საგურამოში მზარეულად ვანო ხუნდაძე ჰყავდა. — ვანო, სტუმრებს კვლოდები და ერთ კარგ ღომს ვერ გაგვიკეთებ? — ჰკითხა ილიამ.

— მზარეული ვარ და, კარგ ღომს როგორ ვერ გავაკეთებ! — პროფესიული ტრაბანით უბასუხა მზარეულმა.

— მერე რა, რომ მზარეული ხარ? აი, მე პოეტი ვარ, მაგრამ „ვეფხისტყაოსანს“ ვერ დავწერ!

ილიამ ერთ გლექსს უთხრა, მამალი ბატები გადაარჩიეო! — ბატონო ილია, მამალ ბატებს ვერ შევატყობ, მარტო დედლების გამოცნობა ვიცი.

— შენც დედლები გადაარჩიე და რაც დარჩება, ისინი მამლები იქნებიან!

ილიას სიმღერა ძალიან უყვარდა, მაგრამ თვითონ ვერა მღეროდა. ილიაობადღეს, როდესაც სტუმრებმა გვიარანდ მოილხინეს და გლექსებმა შემოსძახეს „ბერი კაცი ვარ, ნუ მომკლაჯ!“, ილია ორ გლექსს შუა ჩადგა, მხრებზე ხელი გადახვია და ხანი მიაყოლა.

— ილიავ, გაჩუმდი! — გადასტუტუნა გლექსმა.

— ვერ გაჩუმდები! — გაუიულტა ილია, — ეგ სიმღერა ძალიან მიყვარს და მეც უნდა ვიმღერო!

— ილიავ, გაჩუმდი, თორემ ჩვენ გაჩუმდებით!


— კარგი, ჰო, ისევ მე გაჩუმდები! — დანებდა ილია.

ჟურა-კითხვის გამაჯრცელე ბელი საზოგადოების კრება, საზოგადოდ, გვიანობამდე გრძელდებოდა ხოლმე: კრებებს ილია თავმჯდომარეობდა. ერთხელაც, უკვე შუალამე რომ გადასულიყო, მორიგმა ორატორმა სიტყვა დაამთავრა, მაგრამ დამსწრენი დუმილით შესვდნენ. ილია მისვდა, რომ ყველა ძილ-ბურანს მინებებოდა.

მათ შორის არტემ ახნაზაროვიც — „ივერიისა“ და ილიას ერთგული თანამშრომელი, რომელიც სიტყვით გამომსვლელთა სიაშიც იყო! ჩაწერილი, თუმცა რიგით მასზე წინ სიტყვა სხვებს ეკუთვნოდათ.

ილიამ თვალი მოავლო დაღლილ და მთვლემარე დარბაზს, პაუზა გააკეთა, მაგიდას უცებ ხელი დაჰკრა და მოჭადრაკესავით შესძახა:

ს.ა. ლომლასი
ნ.ა. ჯ.



აგერ ვაჭარიც ცბიერის ღიმიით მოძმით ატყუებს. რა ჰყიდის ნივთსა.



რად ჰკვირობთ მასა, რომ თქვენს ანბანსა ვერ შევარჩიეთ ვერვინ ჩვენგანი?!



არსაიღამ ხმა, არსით ძახილი..

Handwritten number '25' and a flourish.

— შან, ნაზაროვ!
ყველა ერთბაშად გამოფხიზლდა, რა თქმა უნდა, ახნაზაროვიც, მიაჩრდნენ კრების თავმჯდომარეს, მის სერიოზულ სახეს და... მთელს დარბაზს მოედო ჰომერული სიცილი. წუთის შემდეგ ყველას მოესხნა დადლილობა და ახნაზაროვიც ტრიბუნასთან დადგა.

ილიას განსაკუთრებული გრძობით უყვარდა ნიკო ხიზანიშვილი, რომელიც განთქმული იყო იშვიათი მადით. მაგიდაზე, მის ახლომხლო, თვალის დასამხამებავი ქრებოდა ღორის ხორცი, განსაკუთრებით — შებრაწული ვოჭი.
როდესაც ილია უცხოეთში მიდიოდა სამკურნალოდ, ნიკოს შეპირდა, იქიდან კარგ საჩუქარს ჩამოეიტანა, მართლაც, ბერლინიდან ილიამ ჩამოუტანა სამელნე და საფურფლე. ნიკო აღტაცებული დარჩა, საქმე ის იყო, რომ ამ ორივე ნივთს ღორის თავის ფორმა ჰქონდა...

ოლღას, ილიას მეუღლეს, რაც ხანში შევიდა, ყურთ ძალიან დააკლდა. ერთხელ, წვეულების დროს, ოლღა ეზონი მარჯორი უორდრობთან და ელისაბედ ჩერქეზიშვილთან (ნიკო ხიზანიშვილის მეუღლე, შემდგომ განთქმული მსახიობი) მასლაათობდა. მასთან მივიდა ილია და ჰკითხა, არტურ ლაისტი და ხანანაშვილი რა იქნენ?

— იქ არის, შენს შკაფში აწყვია. — უპასუხა ოლღამ.
ილიამ არაფერი შეიმჩნია და გატრიალდა, გული კი სიბრაღელის გრძობამ დაუწვია.
— ქალო, გაგონილა ანდენი მუშაობა? — შესჩვილა ოლღამ ჩერქეზიშვილს — ნერვები აღარ უვარგა და გულმავიწყი გახდა. აღარ ახსოვს, რომ თვითონ შეინახა შკაფში თამბაქოები!

ასეთი ტაქტიანი, მხიარული, თავმდაბალი და გულისხმიერი იყო ილია მოყვასთა შორის.
სულ სხვაგვარი იყო ილია მტრებთან და მოწინააღმდეგეებთან დამოკიდებულებაში. თუ პოლემიკას შევადარებთ დუელს, როდესაც მებრძოლები იარაღად ხმარობენ სიტყვის დაშვას, ილია შეუდარებელი დარტინიანი იყო, რომელთანაც პირისპირ შეხმას ბევრი ვერ ბედავდა და თუ შეებედავდა, უსათურად „აკრძალულ ილეთს“ ხმარობდა. ვასილ ბარნოვი იგონებს: „ძნელი იყო ილიასთან კამათი. ის უფრო ართულებდა მასთან ჰაზრთა ჭიდილს, რომ მარჯვედ იჭერდა მებრძოლისაგან ნატყორცნ საბუთს, თავისებურად, არკალბედა მას და შეუბრუნებდა მასვე, მისივე ფანდიით აჯანჯლარებდა მოპირდაპირეს, მისივე იარაღით აოყვე-აქანებდა, მუხლებზედ დასცემდა“.

აბა, როგორ გამაგრდებოდა ილიასთან მოპაექრე, როდესაც თავზე ასეთი რისხვა დაატყდებოდა:
„თუ გული უერთს გეუბნება და ხელი სხვას ჰჯღაბნის, ჭკუა სადღა ჯანდაბაშია?“
„ჩვენ გულდაჯერებით ვუწინასწარმეტყველებთ თავად ერისთავს, რომ დრო მოვა, როცა მის თარგმანის ლექსებითა დასჯიან წარმართთა!“

„თავად ერისთავის ენა კი სწორედ ნაღველას გაუხეთქავს კაცს!“
სასურადადებოდა, რომ სატირის ამ „დაშინის“ ხმარებისას ილია ერთ წინადადებაში საოცარი ოსტატობით ხატავს მოწინააღმდეგის ხასიათს, პორტრეტს:

ტრიბუნაზე „ყველმოდერებით დადგა და თავისებურად მოჰყვა სხაპასუშაობით, თითქო თავზე წვიმა დასდის და სჩქარობს, მალე დარომოს დახაროშელი და სადმე ფანჩატურს შეუფაროს“.
სიცოცხლის ბოლო წლებში ილია შეიძლება შევადაროთ ალყაში მოქცეულ მეომარს, რომელსაც ყოველი მხრიდან გამეტებთ უღერებენ შხამიან ისრებს, ის კი ღირსებასა და წონასწორობას არ

კარგავს, ვაჟკაცურად იგერიებს ყოველ დარტყმას და საოცნარი ისაა, რომ ამ მართლაც სამკვდრო-სასიცოცხლო პოლემიკის დროს ისეთ ბასრ და მოსწრეულ ფრაზას ისვრის, დაღხინებულ-დამშვიდებულ გუნებაზე კაცს აზრად რომ არ მოუვა. მართლა ილია იმერეთის ლოცვილი!

როდესაც ბანკის ხელმძღვანელობაში განხეთქილება უგრდურეს ზღვარს მიაღწია, ბრძოლით დაღლილმა ილიამ უარი თქვა გამგეობის თავმჯდომარის პოსტზე. ეს გადაწყვეტილება საჯაროდ განაცხადა მან კრებაზე, რითაც მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღტაცება გამოიწვია. მათ, ნიშნის მოგებით და ჯიბრით, დღევანდელი ტერმინი რომ ვიხმაროთ, მქუხარე ტაში დასცხეს. განსაკუთრებით აქტიურობდა ვასო თავთაქიშვილი, რომელსაც „თმებში შაურიაანის ოღენა თეთრი ჰქონდა ნიშანივით“. და აი, ილია ჩამოდის სცენიდან და დარბაზისა და სცენის შემადგურებული კიბიდან დაინახა ფეხზე წამოხმტარი და ტაშისკვრის ემში შესული, აღტაცებული თავთაქიშვილი.

— ოპ, შენც აქა ხარ, ნიკორა? — შესახა ილიამ და ახლა დარბაზი სხვაგვარი ტაშითა და სიცილით აზანზარდა.
ცნობილია, რომ ილიას საწინააღმდეგოდ ბევრი ცილისმწამებლური და შეურაცხყოფელი წერილი იბეჭდებოდა პრესაში. ერთი ასეთი წერილი მკითხველს აუწყებდა, რომ სოფელ გურამიანთკარში ზამთარში წყალი გაიყინა, სოფელი უწყლოდ დარჩა. ამიტომ გლეხები „სოფელ-ზევით სამ ვერსტზე ტყეში მიუვალ დელეში ჭავჭავაძის შამულში მოხუწრუსე წყაროდან“ კოკებით ეზიდებოდნენ წყალს. ილია კი წყალს გველემბაპივით გადასჯდომოდა და არ ანებებდა გლეხებს. „დაგვისია თავადმა მოურავებიო“ ... და ა. შ.

ამის პასუხად ილია ამტკიცებს, რომ, ჯერ ერთი, სოფელ გურამიანთკარში წყაროს წყალია, რომელიც არასოდეს არ იყინება. მეორედ, ჩემს ტყეში წყარო, საერთოდ არ არის. ჩემს მიერ უხეიროდ ვადმოცემულ ამ მტკიცებას ილია ასე აყალიბებს: „თუ ჩემი ცრუებტყლა ავტორი მოწყალებას მიიღებს და გურამიანთკარის ზემოთ ამ სოფლიდამ სამი ვერსტის მანძილზე ჩემს ტყეში, მიუვალ დელეში, პატარა წყაროს მიპოვის, დიდი მადლობელი ვიქნები და თუ არ ითაკილებს, სამახარობლოსაც მივართმევდი. ამ სახით ავტორი გვარწმუნებს, რომ გურამიანთკარელებს, მაშინ, როცა ცხვირწინ მიგ სოფელში აქვთ კარგა მოზრდილი წყარო, რომელიც არც გაყინულა და არც იყინება, დაუწყიათ სარგებლობა იმ წყაროთი, რომელიც არ არსებობს და მარტო ავტორის ჭკვიდამ მოჩუწუნებს“.

ილიას ბრალად სდებდნენ კიდევ ერთ ცოდვას: იმ ტყეში, მიუვალ დელეში, არარსებულ წყაროზე აუვსია ორი კოკა ერთ შიშველ-ტიტველ და ავადმყოფ გლეხს და შინისაკენ წამოუღია. როდესაც ილიას სახლის წინ ამ გლეხმა ეს კოკები ჩაატარა, ილიას მოურავმა ამ საცოდავს ზედ თავზე გადაამტვრია, თვით ბატონი კი „ბალკონიდან ოთხასმანეთიან ქურქში გახვეული უყურებდა, გულთანად იცინოდა და თანაც აქებუდა ერთგულ მოურავს“.

ილია ამ ბრალდებას ასე პასუხობს: „თუმცა მე ორმოცთუმნაინი ქურქი ჩემს დელეში არა მქონია, ავტორი, ალბათ, მე გამომოთხილდა, არ ვაცივდესო და წამომასხა. ამ გაფოთხილებისთვის დიდი მადლობელი ვარ და ვთხოვ ჩემს მწე-მქებარე ავტორს: მობრძანდეს, ჩემს ბალკონზედ დადგეს, ორმოცთუმნაინი კი არა, თუნდა ასთუმნაინი ქურქი წამოიხსნას, იქილამ ვაიხედ-გამოიხედოს და, თუ ჩემი ბალკონიდან ტყეში დანად გზად მიმავალს კაცს კი არა, სპილოს დაინახავს, ჩემი კისერი და მისი ხმალი!“

მთელი ცხოვრება ილიასი ერის ჭირისუფლობის უიშვიათესი ნიმუშია. ამ მხრივ იგი იმ სიმალეზეა ასული, თვალს რომ ვერ გაუსწორებს ვერავინ. რაც შეეხება მისი იუმორისა და სატირის მახვილის სიხასრესს, ამ თვალსაზრისითაც ილია მიუწვდომელია!


რავილ გაგულაშვილი



ვინა შრომობდა და ვინა ჰძღვებდა..

არცინ უვით ჩემისთანა გრძობად მებტყველი ორატორი.

მაგრამ მალლა აცოცვისთვის უნდა თურმე კულის ქნევას..



ბრძენო ილიავ, დროს გატყუა...
ჩვენი ჩავგრა და წამება,
„ჩვენ თავ ჩვენადვე გვეყუდნის“! —
ვიცი, შენ ეს გეამება!..
მაგრამ... გვეშლება ზოგჯერა, —
რაი რას შეხამება:
იმას ვერ ვუვლით შვილები,
რაც დაგვიტოვეს მამებმა!
აჰა, შეხედე რას გვიგავს
გაოთხებული „სამება“!
უფროსპირს ჭიხურმიდგმული
„სამება“ ვის ეწამება?!
მეტს ვერას გკადრებ, მოძღვარო,
სირცხვილით ენა დამება!..
„ნიანზის“ მინაწერი:
თუმც ტრიბუნიდან მადლიდან
ითქვა ჭიხურის აღება,
მაგრამ დრო გადის!.. აღებას
საშველი აღარ ადგება!..

მეზავრის წერილები

ყაზბეგის სასტუმრო „ინტურისტიდან“ გამოსულმა შეეხედე დიდებულს მყინვარს და ჩვენი დიდი წინაპარივით წამოვიძახე: „დიდებული რამ არის ეგ მყინვარი!“

იქვე საკუთარ „ვოლგასთან“ მოფუსფუსე მოხვევე გამოიქვასუნა:

— ვინ უფასებს მაგ დიდებულებას მყინვარსა?!

— როგორ თუ ვინ?

— ვისაც როდის და როგორ ამინდშიც მანუნდება, მაშინ აებობლებიან ზედა, ანაბარა უნდა დაგამარცხოო!..

— მერე რა არის მაგაში ცული? — ვკითხე.

— ამაყებია ქალაქელი ბალები, უდროოდროს და უამინდობაში ზედ ანტებიან და ზოგჯერ აკვდებიან, — თქვა მოხვევემ, — თუ უსასიათოდაა, დაბურულია მყინვარი, უნდა ერიდო, აცალო, სანამ გულს გასსნის, შუბლს გადაიწმენდს ნისლევისაგან. მაგას თუ არ სწადია, არ აგიშობს, და თუ აგიშო, ლანძღვა-გინება კი არ უნდა დაუწყო — „აი, დედა გიტირე, დაგიყარ და დაგამარცხეო!“ — უნდა დაუჩოქო, ეამბორო მის გაყინულ შუბლსა და მადლობა უთხრა, რომ თავზე დაგისვა და ქვეყნიერებისათვის ზემოდან გადმოგაცქერინა!..

— მართალი ხარ! — დავეთანხმე მოხვევეს, — მაგრამ იმ სამების ტაძრის გვერდით რა კოშკი აგიშენებიათ მოხვევეებს?

— მაგის ამშენებელმა ნულარა ააშენა!.. — თქვა აღრენით მოხვევემ, — მოხვევეებს ვინ გვკითხა მაგის აშენება, თორემ წმინდა სამების გვერდით ვინ ხელმოსატენი ჩადგამდა მაგ ადაფსანასავით კოშკურასა და დაამახინჯებდა ამ წმინდა ალაგსა?!

— მაინც, რისთვის ჩადგეს?

— აქოლა, სამებამდე ფხვით ასვლა აღარ გვეკადრებაო, საბაგირო გზა უნდა ავიყვანოთო! დედაქალაქიდან ჭკვიანმა ადამიანებმა შემოუზარახეს: ეგ არ ქნათო, მაგრამ, საკვირველია, მაგის ამშენებლებმა მაინც თა-

ვისი გაიტანეს!.. თუმცა, დაილოცოს სამების მადლი! — ვერა და ვერ აამუშავეს ეს ოცი წელი! ახლა მგონია, ისევე აღებას უპირებენო!.. მაგრამ როდის?!

მოხვევემ მანქანის კარი გამოაღო, მერე მე მომიბრუნდა:

— საით მიემგზავრებით?

— თბილისში, — ვუპასუხე.

— აი, ცარიელი მაშინა, რასლა უცდით, დაბრძანდით!

— გმადლობთ, ავტობუსები სომ დადიან, გაყვები რასმე!

— არას გადაგახდევინებ! — ჩაიცინა მოხვევემ, — ქალაქამდე ხმის გამეცი მიეყოლები, ეგაც რაი ღირს!..

„ჩემი მოხვევე ძალიან კაცი გამოდგა“, — კვლავ გამასხენდა დიდი ილიას სიტყვები და მანქანაში ჩაჯექევი.



— ძალიან იცვალა სვემა ბოლო ხანებში სახე, — ვთქვი მე.

— კო, დაემჩნია ზოგ-ზოგის ხელი, — მიპასუხა მოხვევემ და მანქანა დაძრა.

— რატომ ზოგ-ზოგის? მოხვევემ უკვირანად შემათვალეირა.

— ვინ იცის, რაი კაცი ხარ, შეიძლება თუ არა შენთან გულის გასსნა?! — ჩაილაპარაკა ცალყბად შეღიმებულმა.

— ვითომ რატომაო?

— იქნება ჩვენებური, ქართული ჯიგარი არა გაქვ!.. მე გამეცინა.

— შენ როგორ მატყობ?

მოხვევე გზას თვალმოწყურვით გაჰყურებდა, ისე მიპასუხა.

— რას ვაიგებ, რაც დრო გადის, ჩვენებურებიც შიგნიდან დაჭრულდნენ.

— ალბათ „ზოგ-ზოგები“ დაჭრულდნენ.

— ალბათ... — ნაძალადევიდ დამეთანხმა მოხვევე.

— ახლა ადგილობრივი ინტელიგენცია ბლომდა გყავთ მოხვევეებს, — საუბრის თემა შევცვალე.

— მადლობა ღმერთს, — თქვა მან, — ახლა სამსახურებში ყველა ადგილობრივია, სომ გაგიგონია: „ადგილის კურდღელს ადგილის მწვეარი უნდაო“, თორემ რა ვინდა?! წინა წლებში ზოგჯერ ქალაქიდან ისეთს ვისმე გამოგვიგზავნიდნენ... — მან აღარ დაასრულა სათქმელი, კვლავ ჩემკენ გამოაპარა მზერა.

— მაინც როგორს? — ჩავეკითხე მოხვევეს.

— ერთხელ ერთი ვეტექიმი გამოგვიგზავნეს, მაშინ მე ბაღლად ვიყავ, სწორედ იმ ხანად დოლიც დაიწყო ყიზლარში. უთხრეს ამ შენს ვეტექიმს: — დოლი დაიწყო, რაი ვქნათ, ჩვენ კი დოლისთვის მზად არა ვართ და მან კი ნოღაეთში დეპეშა აფრინა: დოლი შეაჩერეთო!

მოხვევემ ცალყბად ჩაიღიმილა ჩემს სი-

ცილიზე.
კარგა ხანს სმა არ ამოუღია, დუმილით მითხრა კიდევ ბევრი სათქმელი.

— მოხვევს არ სწყინს ჭკუის სწავლება ჭკვიანისაგან, — როგორღაც თავისთვის ალაპარაკდა ის, — მაგრამ თუ ჭკუის მასწავლებელს უჭკუობა შეატყუო, მტრისას! აივლებს და გაივლებს!.. — ეს სიტყვები ისეთ კილოზე თქვა: აქაო და ყველა „ჩამოსული“ კი არ გვძულსო.

— ეგ რაზე მითხარით?

— ჭკუის სასწავლებლად გამოგზავნილებზე, — მოჭრა მან მოკლედ და სიჩქარე გადართო, — ყელში ამოვიდა ეგ ჭკუის სწავლება, მთავარია საქმე!..

გზის მარჯვნივ მინდორზე მოთუთიებული თუნუქით შემოსალტული უზარმაზარი კორპუსები გამოჩნდა.

მოსხვევც იქითვე იხედებოდა. მეც აღარ დავაყოვნე:

— ეს რაღა აგიშენებიათ? — ვკითხე მოხვევს.

— ეგ ქვის სახერხი ქარხნის კორპუსებია.

— უკვე იხერხება ქვა?

— როგორც არ მოგკლავს!.. — გაასაყავა მან ცალი ხელი.

— რატომ?

— სამი წლის წინ უნდა მიგველო უცხოური ქვის სახერხი დაზღა-დანადგარები, მაგრამ ჯერაც ვუძღვით!.. ერთი დიდი კაცის ბელოვლობით ჩვენთვის გამოყოფილი სხვაგან სადღაც გაიგზავნა!..

— მერე პასუხი არავინ მოსთხოვა იმ „დიდ კაცს“?

— როგორ არა! ცოტა ხნის წინ, ქრთამს რომ არ დაეხრჩო, ვირის აბანოში გაგზავნეს!..

კვლავ დიდი წინაპრის სიტყვები ჩამემის ყურში: „იგი თვალ-ყურ-მადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვეყნისა, რომელიც მის გარშემო ბედს შემოეზაზა“.

ფერდობზე შეფენილი ცხვარი იტაცებს ჩემს მზერას.

მოსხვევმ მანქანის სვლა შეანელა და ფარას გახედა.

— ჩვენი მთები მთებს აღარ ჰგავს! — თქვა მან ნაღვლიანად.

შეგბუნებულმა გადავხედე მოხვევს.

— კაცს გულს მოგიკლავს მაგათი საცოდლობა! — თქვა მან, — ბალახი აღარ ამოდის, ცხვრის ფეხმა ფესვი გამოუთხარა, მთებს პატრონი და დასვენება უნდა, ვინ ასვენებს?! არც ცხვარი სეირობს ერთსა და იმავე ადგილზე ტრიალით, დაჯანდავდა, დაბეჩავდა!.. ვიძახით, ბევრი-ბევრიო, და სიმრავლეს ვანაცვალეთ ცხვრის სიკეთე!..

— ვერ ყოფილა მაგ ცხვრის საქმეც ფარსაგად! — ჩავურთე მე.

მოსხვევმ მთებს შემოავლო თვალი და კარგა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა:

— უერთმანეთოდ მთა და ცხვარი არ ვარგა, მაგრამ მაგათ ერთიმეორე არ უნდა დავაჩავარინოთ! გონჯი პატრონის სელში ცხვარი მთას მოსთხრის და მოსთრილი და მიწის გორად ქცეული მთა ცხვარს აღარ არგებს!.. ეგრეა, ძმაო, ერთის კეთებით მეორეს არ უნდა ვაფუჭებდეთ!

— თქვენც კარგად უპატრონეთ! — ვთქვი მე.

მოსხვევმ ირონიულად ჩაიცივნა.

— დარიგება ადვილია, საქმეა ძნელი, საქმე! — თქვა მან, — ცხვარს მანქანებით და-

ვუწყეთ ამ ბოლო ხანს მწყემსვა, ვერე კი არ გამოვა!.. ზოგი წუწუც შემოერია ცხვარ-მეცხვარეს და ვისი საკუთრებაა, არც კითხულობს, მშვიერი მგელივით ექცევა პირუტყვს!..

— მეონი მოხვევების ნათქვამია: ცხვარ-მეცხვარეს არ ელალატებისო!

მოსხვევმ თითქოს ერთ ყურში შეუშვა ჩემი ნათქვამი და მეორედან გაუშვა, ჩაასველა და გაზს მოუმატა ამრეზილმა.

— ახალი „ვოლგა“ ფრინველივით აიჭრა ჯვრის უღელტეხილიზე.

როცა უღელტეხილიდან გულაურისაკენ დავეშვიტ, მოხვევმ გზის მანლობლად მწვანეზე გამართულ სახელდახელო სამწვადისაკენ მიმახედა.

— აბა, რა ცხვარი გაუძღვებს ამ სისხლის-მწოველებს?! — თქვა მან, — დაითვალე, აქედან თბილისამდე ორმოც ადგილას მაინც იქნებიან დარჭობილები!

— ცხვარი ხომ მიდის და მიიძახის, არც არყის შოვნა ძალიან დიდი გასაჭირი მაგათთან! ყველა წაწყალ მწყემსს აძრობს ტყავსა! ეს რა წესია, ვინ რთავს გზებზე დგომის ნებას ამ წურბელებს?!

— ალბათ ვაჭრობის გეგმების შესრულებაში შეაქვთ მაგათაც თავისი წვლილი.

— გეგმებს კაცობა არ უნდა ვანაცვლოთ!

— თქვა მოხვევმ მკაცრ კილოზე, — რად გვინდა ეგეთი გეგმები, რაიც უცნოსთან გონ-დად გამოგვარჩენს?! ყველაფერს სთომავად ყიდიან და ატყავებენ მგზავრსა თუ მეცხვარეს!.. გამველი კი ჩვენ დაგვიცინის!.. ამ გზით მოდის საქართველოსკენ მთელი დუნია, ეს გზა კი თავად საქართველოცაა!.. აქ ბალახსაც ქართული სუნი, გემო და იერი უნდა ჰქონდეს. მაგათი შემყურე და ნამას-პინძლარი კი რას იტყვის უცხო?!

მოსხვევ აქვს მართალი იყო, რა მეთქმოდა!

გულაურს მიეუახლოვდით.

სასტუმრო „ბიდარასთან“ ტურისტების ავტობუსი გაჩერებულიყო. ჭრელჭრულად გამოწყობილი მართლაც დუნია ხალხი ირეოდა სასტუმროსთან.

მიუხედავად იმისა, რომ მოხვევ თითქოს მსოლოდ ცუდეს დამნაშავისა და კარგზე თვალის დამხუჭავის შთაბეჭდილებას ტოვებდა, მაინც ვერ მოვიტინე, რომ არ მეკითხა გულაურის ამ ახალი სამთო-სათხილავი.

მურო სპორტული კომპლექსის ავ-კარგი.

— სახელად და სალანძღავად ჩვენი, ყაზბეგელებისა, სახრავად და გასართობად სხვებისა! — მიპასუხა მოხვევმ უმბურად.

— კარგი კია მაინც, — ვთქვი მე, — რა კოტეჯები დაიდგა, რა სასტუმროები! აი თუნდაც ეს „ბიდარა“ რაღა ღირს!

— დაიდგა, მაგრამ ვაი ეგეთ დადგმას! — თქვა მოხვევმ. — ერთი წელი არ იყო გასული, ყველაფერი წელანდად გასაკეთებელი გახდა.

მოსხვევ ჩემკენ შემობრუნდა.

— თუ ძმა ხარ, არ მითხრა, რომ ესეც მოხვევების ბრალია, რომ გულაური გაკვრ-გაქცევით უვარვისად აშენდა!

— როგორ გეკადრებათ! — დავინიე მე უკან, — თქვენ რა შუაში ხართ!

— მე იმაზე გეუბნები, რომ უზარისხოდ და ცუდად აშენდა ყველაფერი, ახლა ხან აქ ამიტყვრება ეს ერთი-ორი წლის წინ გონ-ჯად კეთების კვალი, ხან იქ და არის ერთი რეკვა და ვაი-უშველებელი: ყაზბეგელებო, საქმეს მიხედეთ, ყაზბეგელებო, ეს გააკეთეთ, ყაზბეგელებო, ის გააკეთეთო და სხვა.

გასულ ზამთარს საბაგრო გზაზე გაიყინ-ნენ სპორტსმენები, დენი გაითიშა, ერთ სირცხვილში ჩვეცივები ყაზბეგელები. მე-რე გაირკვა, რომ სხვებისგან ცუდად გაკეთებისა და უყურადღებობის ბრალი იყო, სირცხვილი კი მოხვევებმა ვჭამეთ!.. აი ასეთ რაღაცაზე გეტყინება კაცს გული, თორემ გულაური რო კარგია, ამას ვინ უარყოფს?!

გულაურს გავცდით და მერე კარგა ხანს ვდუმდით მე და ჩემი მოხვევ, თუმცა შემდეგ მოხვევის ნალაპარაკევი მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო აქ აღარ მომყავს, ერთი კია: ქვეყნისათვის გულმემატიკარი კაცური კაცი გამოდგა ჩემი მოხვევ, რომელმაც და-შორებისას ერთი საგულისხმო მოქმედებით კიდევ შეატოკა ჩემი გული.

მანქანიდან ჩამოსულმა მოხვევს, — რა ვიცი, კაცნი ვართ, — ყოველი შემთხვევისათვის თუმინანი გავუწოდე და მადლობაც უნდა მეთქვა.

მან გაცუბული, ბრაზმორეული თვალე-ბით შემომხედა. ცოდვა გამხელილი სჯობია, ასეც ვიფიქრე, ხომ არ იცოტავა-მეთქი?!

— მე კარგ კაცად შეგიცანს! — მითხრა მან ყელში ბოლმამოწოლით, — აი, რაი გვეშლე-ბა დღეს ადამიანებს: კარგ კაცებად აღარ გვგონია ერთმანეთი, ყველა საეჭვო სიღვრე მავალი გვგონია და თავადაც ზოგჯერ კაცობაზე ხელჩაქნეული ვხდებით!.. მე და შენ ჩვენი ბიდარის სიმადლეზე დავიწყეთ დღეს საუბარი და რაისთვის ჩამოგყავს ჩვენი გაცნობა თუმინს სიდაბლზე?

მოსხვევს გაფითრებული სახე ჰქონდა, მე კი ალბათ — გაწითლებული.

მან მანქანა ადგილს მოსწყვიტა.

მიგინვდი, მოხვევ, გულისტკივილს! მადლობა ღმერთს, რომ მაგ ტკივილის მორჩენა შეიძლება დღეს, თორემ ეგრე რომ არ იყოს, რა გვეშველებოდა?!



გოთა არაბული
(ყაზბეგის რაიონი)



— რისთვის მოსულხარ, — მოყვრად თუ მტრად?

ახალი განმარტებითი ლექსიკონი

ილიას ნაწარმოებთა სათაურების მიხედვით

„ალარც ნატურა და ალარც იმედია“ — ფიქრები საკომპლემენტო ბაზრებში ფასების დაცემის თაობაზე.

„აჩრდილი“ — რაც თბილისის ზოობარკიდან დარჩა.

„ბაზალეთის ტბა“ — კეთილმოწყობელი დასასვენებელი ადგილი ღუშეთის ახლოს.

„ბევრი ვიტანჯუ“ — კინოფილმი „მონანიება“.

„გასსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში“ — შეხვედრა მუშტადში ძველ ნაცნობ ქალთან.

„გლანის ნამზობი“ — ზოგიერთი თანამედროვე ქართული მოთხრობა.

„დაბნულდა სული, გარშემოც ზნულა“ — ზოგიერთი ქუჩა ღამით ქალაქში.

„დაკარგული ედემი“ — გაჩეხილი ტყეები.

„დამაკვირდი“ — გასტრონომიულ მაღაზიაში სასწორის გამაფრთხილებელი მიმართვა მომხმარებლისადმი.

„ლოთის რჩევა“ — შეასუსტეთ ბრძოლა ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ, მოუმა-

ტეთ სპირტიანი სასმელების გამოშვებას და დაუკელით ფასებს!

„მითხარით, რისთვის?“ — კახეთში ამოძირკველი ზვრების ამონაკენისი.

„რა ვითხრათ? რით გაგანართ?“ — თბილისური პურის პასუხი.

„რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით?“ — სოფლებს რომ ვაცარიელებდით, ის დრო.

„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ — ზოგიერთი მაღალი თანამდებობის პირის ცხოვრების რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი.

„როდემდის“ — შეკითხვა თბილისის ტელეფონების სადგურს.

„უსულდემულო ცხოვრება“ — იგულისხმება ნარკომანის ცხოვრება.

„ქვათა ღაღადი“ — ჩვენებური დაუმთავრებელი მშენებლობები.

„ჩემო მკვლელო“ — დიად დატოვებული საკომუნიკაციო ჭა.

„ხმა სამარადამ“ — აქ ნულარაგის ჩამიწვენთ!

შეადგინა ე. თამაზაშვილმა

პასუხის პასუხი

ჩვენ, უფულონი, თქვენ, ფულიანთა, ბრიყვნი ვგონივართ, რადგან ნაქურდალ-ნაღლეტავის უქონონი ვართ!

თქვენ ვლეთ რუსეთი, საფრანგეთი, შვეიცარია... და ჩამოზიდეთ ძონძმანძები, რაც მთავარია!

უცხო ავეჯით, ლარნაკებით, გატენით ბინა, ქურდების შიშით გაცანცახებით, ვეღარცა გძინავთ! ჩვენც ვვლეთ რუსეთი, იტალია, პორტუგალია... თქვენებრ ფულები ნიფხებში არ დაგვიმალა! (ვაი, სირცხვილო, თქვენგან ბევრი „ვითომ ქალია“!), ამის დაწერა, სწორი ვითხრათ, მიჭირს ძალიან, მაგრამ რას იზამ, ყველგან არის ანთმალა!

ჩვენ, უფულოთა, ღვთის წყალობით, ჩვენი გვაქვს ბინა, კარებს არ ვკეტავთ, თუნდ არავინ არ იყოს შინა. არა გვაქვს თქვენებრ გადაკრული კარებზე რკინა, ღია კარებშიც უშფოთველად, უშიშრად გვძინავს!

თქვენ, ფულიანნი, დღენიადავ ვილაცას ძარცვავთ, მერე ჩუმ-ჩუმად ბრილიანტებს ცერცვივით მარცვლავთ, მალავთ ჭურბებში, სარდაფებში, ჭურში თუ სხვენში... ჩვენდა სირცხვილად უამრავი მომრავლდით ჩვენში!

ჩვენ, უფულოთა, სიყრმიდანვე გვასწავლეს შრომა, პატიოსნება, დისციპლინა, ჭამა-სმის ზომა, სულში მთავებერეს უკეთესი მომავლის რწმენა და ჭირთა თმენა, რისთვისაც ახლა უსინდისოდ დაგვეცინით ჩვენ!

თქვენ, ფულიანთა, უნამუსოდ წაიგდეთ უნა და ნამუსისკენ მოუწოდებთ უცოდველთ თქვენა!

მადლობა უფალს! — მოგვევლინა განკითხვის გამი, ვეღარ ანათებს ძველებურად ეჯოჯოხეთს ქრთამი, არ დაინთხევა უმიზეზოდ სამსალა, შხამი, არ ეღირსება უღირსებოს „მაღალი“ სკამი!

იმისთვის იბრძვის დღენიადავ ჩვენი პარტია, რომ იყოს ქვეყნად სიმართლევ და დემოკრატია!

ნიკოლოზ იოსებშიძე

დიალოგები

სათათქაროქეოდან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

- ახალი ამბავი გავიგე, დარეჯან: ჩვენს ილიას იუბილეს უხდიანო!..

- არაა ღირსი თუ?!

- ღირსი როგორ არაა!.. ისე, ილიამ ჩვენ მთლად მიწასთან გაგვასწორა!..

- რას ამბობ, ლუარსაბ! აკი თქვა, მოყვარეს პირში უძრახეო...!

- მერე, იმ დალოცვილს, ჩვენს მეტი მოყვარე არა ჰყავდა?

- : - : -

- დარეჯან, ჩვენი ლამაზისეული სადაა?

- სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მისაღებად წავიდა...!

- არ გამაგიჟო, დარეჯან!.. სად?!

- პარიზელთა უბანში!..

- : - : -

- კიდევ კარგი, ლუარსაბ, დროზე წამოვედით იმ ქვეყნიდან!

- რა იყო, რა მოხდა, დარეჯან?

- თურმე ისეთი იარაღი გამოუგონებიათ, რომ გაისროლონ, მთელს კახეთს დაანგრევსო!..

- არ გამაგიჟო?! მთელს კახეთსა?!

- აბა, აბა!..

- აკი ვამბობდი, სწავლა მავნებელია და კარგს არაფერს მისცემს-მეთქი ადამიანს!..

- : - : -

- დიდი ჭკუა დავკარგეთ, თელეთში რომ წავედით სალოცავად!.. უშვილოდ დავგრჩით!..

- აბა, სად უნდა წავსულიყავით, შენი სულია?

- სად და - ქალის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში!..

- ეგ რა ინსტიტუტია, დარეჯან?

- ბავშვების გასაჩენი!..

- : - : -

- წუხელ, დარეჯან, სიზმარში კახეთში ვიყავი და ცუდ ხასიათზე გამომეღვიძა.

- რა იყო, ჩემო ტურფავ?

- ტყუილების თქმა დაუწყიათ!.. წამატებებიც უქნიათ!.. წარმოგიდგინია, სანამდე მისულა საქმე?

- ეგ ვითომ ახალია? წამატებებს შენც ხომ კადრულობდი? - ერთხელ ბუზები რომ გადამაღე, ჩემი მოტყუება რომ გინდოდა!.. განა წამატებები არ იყო, რომ გაიძახოდი, თხუთმეტი ურემი მყავსო?!

- : - : -

- ვა, კაცო, რა გავიგონე!..

- რა იყო, ლუარსაბ, რამ აგაღელვა?

- როგორ არ აღელდები? თურმე იქ უშრომელი შემოსავალი გამოუგონებიათ!.. კიდევ კარგი, ჩვენ არ მოვესწარიო!..

- ეგ რა სასწაული ჩამესმა ამ ყურებსში!..

- არა, არა, დარეჯან, გასაგიჟებელია პირდაპირ! უშრომელი ლუკმა როგორ უნდა გადაგივიდეს ყელში?!

- : - : -

- მე მგონია, ოთარაანთ ქვრივი თავისი ქვეყნის პატრიოტი არ იყო!..

- ეგ საიდან მოიტანე, ლუარსაბ?

- როგორ თქვა, რკინის ქალამნებს ჩავიცვამ და დიამბეგამდე მივალო!..

- აბა, რა უნდა ეთქვა?!

- უნდა ეთქვა: - თბილისურ ფეხსაცმელს ჩავიცვამ და საჩივარს იქ მივიტან, სადაც ჯერ არსო!

- : - : -

- სმა მოვიდა, კალკულატორები გამოუგონებიათო!..

- ეგ რა ღოზანაა, დარეჯან?

- ეგაა რაც არი!.. რასაც გინდა, იმას იანგარიშებ! ჩვენს დროს რომ ყოფილიყო, დაბადების დღეზე გიყიდდის!..

- რაში გამოვიყენებდი?


- ბუზების დათვლაში დაგეხმარებოდა! - თურმე შეცდომა გამორიცხულია!..

გიგლა გახტამი

ნ.ხ. ბ. პატარიასხვილისა



- მე კისრად ვიღებ, დამხსნელო. რაც იმას ემართლებოდა!



რკინის კაცის თვალში ცრემლი დიდსულოვნობის შვილია.

აღარც

ჩხუბი.

აღარც

კამათი!..

- დარეჯანი
- რა არი, კაცო, რა დამაფეთე?! - ყური მიგდე; მთელი ქვეყანა ჩვენ დაგვცინის, ლუარსაბი და დარეჯანი ისე გასიებულან, ბუზები ვეღარ დაუთვლიათო!.. მოდი, მოვიინდომოთ და დიეტაზე გადავიდეთ! პა, რას იტყვი?! - დიეტა რალა ოსრობაა? - დიეტა ის არის, რომ ტვინის ჭყლეტა აღარ დაგვჭირდება. ვახშმად რა ვჭამოთ? - ვაშლი. საუზმეზე რა ვჭამოთ? - ვაშლი. სადილად რა ვჭამოთ? - ვაშლი!.. მამ, ჩემო სიცოცხლე, აღარც ჩხუბი მოგვივა და აღარც კამათი, ახრამუნე კიტრანა ვაშლი და ითვალე ბუზები დასვენებულ გონებაზედა! - კიტრანა ვაშლი რა სათქმელია, თურამაულს რა სჯობია! - აბა, რას ამბობ, დარეჯან, თურამაული ანტრონოვკასთან რა სასხენებელია? - იქნება შენმა ანტრონოვკამ ბანანსაც აჯობოს? - რატომაც არა! სად იმის გემო, სად იმისა?! ბროცკი რომ ბროცკია, კეხურასთან ისიც ვერ მივა!.. - კარგი, კარგი, ნერწყვი მომერია!.. ბიჭს გასძახე, ჩიხირთმა შემოიტანოს! - მამ, სწორედ მაგ ჭკუაზე ვარ! ტყემლის მჟავით გაკეთებულ ბოზბაშს რა სჯობია?!

თამაზ კასრაძე

პაროდიები

ზაქროს სიჭაბუკე

მაშინ თვრამეტი წლისა ვიყავი, როცა დედ-მამამ სახლს მომამშორა. ერთ ინსტიტუტში მე მიკრეს თავი, ჩემს სახლ-კარიდგან გამაგდეს შორა. ჯერ კი დავლონდი, დანაგრედა გული, რადგანაც სწავლა შეზარებოდა, ლექციებზედა დამძლევედა რული, სანამ „შატალო“ გამიტკებოდა. გაცდენებს მალე შევეჩვიე მე, კიდევ ვლხინობდი, კიდევ ვმღეროდი, სახლზე, სწავლაზე არც დღე, არც ღამე აღარ ვფიქრობდი, არ ვლხინებოდი!..

კაკო სამუშაოზე

- სოშ-გელდი, ძამო!.. მე ვარ მდიდარი, ამ ტყეში მარტო მე მაქვს მეფობა; გაშლითა არის ჩემი სახლ-კარი - მეტყუისა მაქვს თანამდებობა!

განდებინდი

შეირყა მთელი ცა და ქვეყანა იმა ჭექით და იმა ქუნილით, ცა აირია, დაბნელდა უცებ და წაშოვიდა სეტყვა შხილით!.. ამ დროს მეცნიერ მუშაკთა ჯგუფი ცრემლით ალტობდა ღვთისმშობლის ზატსა და ხელაპყრობით ევედრებოდა იმა სეტყვისგან ევნანის ხსნასა!..

ბაღის გახსენება

გახსოვს, ტურფავ, ჩვენს დიდ ბაღში მე და შენ რომ ერთად ვრბოდით, ხეხილს თავს რომ ვუვლებოდით, მისგან რამდენს ვსარგებლობდით? ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენ ვიქნა რა იცოდა, მოუკვლელად მიგდებული ბაღი გავერანდებოდა!


რეალიკა ლაზღანდარებს

ინტერვიუს რომ ვიწერდი, ბოლოს ვაწყურა პაპა-ჩვენი: - შემაწუსე ამდენ კითხვით, „პოქოლუსტა“, დამეხსენი! რა ვაკეთეთ? რას ვმერებოდით? მას ვმერებოდით, რომ თქვენსავით უსაქმოდ ვეხეტებოდით!

პასუხი ბიუროკრატებს

მითამ რად ვიკვირთ, რომ მალლა ვყვირით: მილიონებს რად ფლანგავთ ჩვენშია? ჩვენ მოკუნტულნი, თქვენ გაბღინძულნი ვერ მოვთავსდებით ერთმანეთშია!

აკოლონ ბასილიანი



ზ. ზ.


უსიტყვოდ

ქართველოზე ფიჭამურთან მრცხვენია!

ჩემთვის მითქვამს, ცრემლნარევი ფიჭამურთან მითქვამს,
წიწამურთან როცა კი გამივილია:
აქ რომ ცოდვის ქარბორიო დატრიალდა,
ქართველთათვის სომ დიდი სირცხვილია!
ვაპმე, ნეტავ, ოთხმა თოფმა რომ იქუნა,
მართლა იმ ოთხ თოფს მოეკლა ილია!..
კარგად ვიცით, გზა საით და ვისკენ მიდის —
თავის მოჭრის საიდუმლოს მიძებნელის:
იმ მრუმე დღეს, სასროლებს რომ იმარჯვებდნენ
ქონდაქარნი, გონსუსტნი და ზნებნულნი,
მათ ზურგსუკან სხვა გველები სისინებდნენ,
ერისადმი ტყვიის დამმიზნებულნი!..
თუ მთავან ხალხს ვაფუცურად უბრძოლია,
ზეცას ჩვენი ძლევის სმაც მისწვდენია,
ლექსია და, სხვა რომ არ ვთქვა, რუსთაველი
დედამიწის ზურგის მარად მშვენია!
ყველგან, ყველგან ჩემი ჯიშით მომაქვს თავი
ქართველობა წიწამურთან მრცხვენია!..
ჯალათებმა, ვისი სისხლის დაღვრაც სურდათ,
სომ მხეცური სისასტიკით დაღვარეს?! —
სალოცავი ხატი ჩვენი სიციოცხლესთან
ვერა, ვერა, ვერა და ვერ გაჰყარეს! —
ფარვანასებრ კვლავაც თავზე დასტრიალებს
მამულს — სულზე მეტად ტყბილს და საყვარელს!
დიას, იგი ისევ იწვის, მშვედ ჩანჩახებს
და ვინ მოთვლის, რამდენ საკვნესს დაჰკვნისს,
როგორც ხალხის მოსარჩლე და მოამაგე,
როგორც ხალხის გაჭირვების ტალ-კვესი!..
მიჭრის დრო და სარეველა ვერას აკლებს
სიბრძნის ფანას — ოფლში ცურვით დათესილს!
მისი სიტყვა, ვისთვის — ია, ვისთვის — ტყვია,
თაობიდან თაობაში გადადის, —
როგორც სსოვნა ჩვენთა ძველთა დიდ ბრძოლათა —
ბასიანის, დიდგორის თუ მარაბდის!..
საქართველოს უკვდავება უწერია
და ილიაც იუკვდავებს მარადის!

ქიშვარდ ისაქაძე

ნახ. ზ. გიგოლაშვილისა



„გაიზრლები და ლაგაიწყდება!“

იუმორისტა

ზამტო კაკოიშვილს ძალიან უყვარდა ილია, განსაკუთრებით „ოთარანთ ქვრივი“, უფრო განსაკუთრებით კი — ქვრივის მეუღლები, რომლებსაც იგი შვილის — გიორგის აღზრდის პროცესში იყენებდა.

იმ კვირა დღესაც გაშალა ილია, აი, პატარა გიორგი ამხანაგის გამოსარჩლებისათვის ნაცემი დაუბრუნდა დედას. ოთარანთ ქვრივს ეღდა ეცა, მაგრამ როცა გაიგო ყველაფერი, შვილს დაუყვავა: — ნუ გეშინიან, ცხვირი გაგიკაწრავს ცოტად, გაიზრდები და დაგავიწყდება! — მერე პირი მოხანა და აღერხით მიმართა: — აი, ჩემო კარგო, ეხლა უფრო ლამაზიცა ხარ და!, წადი, შვილო, ეხლა უფრო მოგიხდება! — პატარა გიორგი გამომჭკრინდა თავის ტოლ-ამხანაგებთან სათამაშოდ.

— რა ღრმამინარსიანი ხალხური პედაგოგიკაა! — ჩაფიქრდა ჯაქრო კაკოიშვილი, — მე თუ მკითხავ, ეს შეგონება — „გაიზრდები და დაგავიწყდება!“ — ჩვენი დღევანდელი საოჯახო ფიზიკური აღზრდის საფუძვლად უნდა იქცეს.

მეუღლის — ღარიჭანის — კვილიშმა გამოაფხიზლა.

— აბა, შუბლი მაჩვენე, შვილო! — მოთქვამდა მეუღლე, — მოგივლეს დედა!..

— რა ამბავია?! — იყვირა ჯაქრომაც.

— შეხედე ჩვენს გიას, რამხელა კობი აზისი — ისევ შემკვილა მეუღლემ, — მიშველეთო!..

ჯაქრო სავარძლიდან წამოიჭრა.

— ისევ ბურთი მოგხვდა? არ უნდა მოიშალო ეს ტიანკობა? — შესახა თოფშემართული კაკო ყაჩაღივით, ეცა ბავშვის ფეხებთან დაგდებულ ბურთს, ჩასცხო პურის საქრელი დანა და წამში დაფუყა!..

— ბურთი არ მითამაშია, ველოსიპედით გავსიერნე და გადმოვარდი! — წაიჩურჩულა შეშინებულმა გიამ.

ჯაქრო მთლად გადაირია, გავარდა დერეფანში, ეცა ველოსიპედს, მოიქნია და კედელს შეამსხვრია.

— შვილი მეღუბება! — ამოიკვნესა სავარძელში ჩასვენებულმა ღარიჭანმა. ჯაქრომ წყალი მოურბენინა და დაამშვიდა: — დაწყნარდი, გენაცვალე! ბურთი დავუჭერი, ველოსიპედი დავუმსხვრიე, ხვალედან ეგ ვერც დერეფანში ჩამოკიდებულ სატანვარჯიშო რგოლებს მიეკარება — ჩამოვხხნი! ეზოში სათამაშოდაც აღარ გავუშვებ! ახლა დამშვიდდი და მეც მომასვენეთ, წიგნის კითხვა მაცალეთ!

...და ისევ ჩაუჭდა ილიას. რას იზამთ, ძალიან უყვარდა ჩვენი სულიერი მამის ნაწარმოებები; განსაკუთრებით — „ოთარანთ ქვრივი“, უფრო განსაკუთრებით კი — ის ადგილი, სადაც დედას სიძაროსათვის ნაცემი გიორგი მიუყა შინ, დაამშვიდებს — გაიზრდები და დაგავიწყდებაო, და პირდაპინილს ისევ სათამაშოდ გაუშვებს.

— ჩვენი საოჯახო ფიზიკური აღზრდის პედაგოგიკაა პირდაპირი! — ისევ გაიფიქრა რბილ სავარძელში მოკალათებულმა ჯაქრო კაკოიშვილმა და, როგორც ყოველთვის იცოდა ხოლმე, წიგნის მომდევნო გვერდზე გადახვლისთანავე ხვრინვა ამოუშვა.

ავთანდილ ციხაძე



ნახ. ზ. ლოლუასი

ყოველსა დღესა ტფილისშია, ყოველ ბაზართან...



ქ სად მოხსოვალ? რაც დაბრუნდა და დატრიალდა... მისი მაგიერი ტელეფონისა, აბა, რა პასუხ?



გმობთა არის ჩემი სახლი კარი და ვერას მაკლებს აქავედ მგობრას.



ჩვენი წადით, ჩვენი იმედს ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში



ვეძვავ, რაც ინას მომადგება, თუნდა მართალ, თუნდა ჭორი



ველარ ვანდულსმ ჯეცეჩქო მარაველებქ ჰეხარებებოთ აღბრტებლს შაროხლს

მოსკოვსა და...

დღეს... მუსკოვისა და... (text continues describing the situation and the author's perspective on the city's state)

- მუსკოვისა და...
- მუსკოვისა და...
- მუსკოვისა და...
- მუსკოვისა და...
- მუსკოვისა და...

(text continues discussing the political and social climate in Moscow)

(text continues with the author's reflections and conclusions)

ოსტატისი მოგზაურობა

სტატისი მოგზაურობის შესახებ (introductory text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (continuation of text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (continuation of text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (concluding text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (introductory text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (continuation of text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (continuation of text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (concluding text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (introductory text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (continuation of text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (continuation of text)

სტატისი მოგზაურობის შესახებ (concluding text)

გამოცანები და კიდეც გამოცანები

1

მთლად „ახლებურად აზროვნებს“
ბრტყელ-ბრტყელი ლაპარაკითა,
პატოხნებას მიმტაცებს
პირზე მომდგარი ქაფითა.
მორალს მიკითხავს მეჭრთამე! —
მეტე რა გარდაქმნა გინდა?

2

დატუქსეს, მაინც მისია
მოედანი და მიწაღრი,
გააქვს და გააქვს გოლები,
შა, „სუთით ერთი“ „რვით ორი“
რეპეტიტორებს „სისხლს უშრობს“
მეტრთამე-რეპეტიტორი!

3

შინ ძველებურად ირჩება,
გარეთ სხვებს „აძლევს მაგალითს“.
თავისთვის ჩუმად ღიღინებს:
„ქვაც ისევე მაქვს და კაკალიც,
ახლების ნამუდრაგადსა
სჯობდა ძველების ჯანჯალი...“

4

მარცხენა ემარჯვენება,
მარჯვენა ემარცხენება,
ცოლებს და ბინებს იცვლიდა,
როცა და როგორც ენება,
მანქანა — მუდამ ახალი,
არც უნდა ძველის ხსენება!

* * *

„კაცად მაშინ ხარ საქები,
თუ ეს წესი წესად დარგე“ —
ყოველ საღამოს იკითხო:
„აბა, ოჯახს რით რა ვარგე?“

ალექსი ვინაზარაული



მენდი, გააიყო
ჭირი და ლხენა!

იმ საღამოს ყაზბეგს ამოვედი. მშვე-
ნიერი საღამო იყო, ასე რომ, იმ დამეს იქ
დავრჩი, რათა თვალი გამეძლო მშვენიერის
სანახაუბრის ხილვითა.

დილით ავტოსადგურში შევიტყვე, რომ
მთებში დიდი დაბრკოლებაა საზოგადო ტრან-
სპორტით მიმავლისათვის, რადგანაც აქ ავ-
ტობუსები ხშირად თურმე აკლდებათ. მირ-
ჩიეს, ფასანურამდე მაინც მანქანა მეჭირავ-
ნა და ისე გადავსულიყავ. მე ეს რჩევა ჰქაუ-
ში დამიჯდა.

გავედი ავტოსადგურის გარეთ და ერთ მო-
სვემ მძღოლს შევხვდი. ცოტა მეძვირე კი
გამოვდა, მაგრამ მაინც ვიჭირავე იმ პირო-
ბითა, რომ სხვა „ვაუტნი“ მგზავრს არ ჩაის-
ვამდა. ბოლოს არამცთუ ვინანე, დიდად კმა-
ყოფილიც დავრჩი, რომ ჩემი საქმე ეგრე
მოეწყო. ჩემი მოხვევა ძალიან კაცი გამოდ-
გა. იგი იყო ჭაღარამორეული, ხანში შესუ-
ლი კაცი. ბოლოს გამოჩნდა, რომ იგი თვალ-
ყურმადევარიც ყოფილა იმ პატარა ქვემ-
ნისა, რომელიც მის გარეშე მო ბედს შემოე-
ხაზა.

ჩავხსენდი მანქანაში და წამოვედი ყაზ-
ბეგილად სამხედრო გზით.

— რა გქვია, ძმობილო? — ვკითხე მე.
— ...ლელთ ლუნიას მისმობენ, — მომიგო
მან.

— სადაური ხარ?
— სადაველ? სოფლიდამ, აქაივ მთაჩია,
თერგ-კიდურზედ.

— ქართველი ხარ თუ ოსი?
— ოესი რაიდ ვიქნები? ქართველ ვარ,
მასვე.

— კი ადგილია ეს თქვენი ადგილი.
— არაა გონჯაი.
— ამისთანა წყალი, ამისთანა ჰაერი სწო-
რედ ბედნიერებაა.

— კი! — ჩაიციხა მოხვევამ.
— რას იცინი?
— საცინალ ვიცინი. ცარიალ სტვამაქი
მავნით ვერ გაძლებს.

— აქ ძალიან მოსავალი უნდა იცოდეს!
— რაიდ არ ეცოდინების? ადგილ არაა გონ-
ჯაი, პატარა გვაქენ: თვითვალს კაცს ორ-ორ
შაბათის ყანა არ ექმნების. ვიწროდ ვარ.
ცხორ კი ბევრ დავვიდის, თერგჩიც კალმანი
ბლომად არ.

— ეს დიდი გზაც დიდ ხელს მოგცემთ.
— რი ბედენაა გზაი? იგი მისთვის ვარ-
გობს, ვისაც სხვის ნაშერელ-ნამუშევრ გა-
სატან-გასაყიდ აქვენ: პამიდორ მიაქვენ, ვაშლ
მიაქვენ, მანდარინ და საზამთროი. ბარიდამ
აქაიდ სხვაც ბევრ სასაქულებანტო ზიდულა
მრავალჯერ.

— შენც ხომ დადინარ ქირაზედ?
— რაიდ არ დავდივარ? დავდივარ.
— მაშ, ქირით ფულს იშოვნი.
— ვშაულაბ. ჯიბური არ რჩების: მთის კა-
ცი ვაჭრის კერძია. ჭამადი-სმადი ნაკლება-
დაა სახლჩი, ნაშოვერ დუქანიჩი და რესტო-
რანიჩი მიდის, კაპერატივიჩი და ინსპექტორის
ჯიბაჩი მიდის.

— მაშ ისევ ბარი სჯობნებია: იქ ხალხი
უფრო მაძლარია.

— ვინ უწყის? იქაითაც საჭირბოროტოია
დარჩენა. ადგილ ხამობს. იქაველ კაცს ფე-
რი არა აქვენ, ჯანი არა აქვენ. აწინა ბარეულ-
ბიც მთაჩი დასდინ. სოფელ გუდაურ გავე-



(ყაზბეგილად მასანაურამდე)

გონებთ, ცოტა ქვემოთ არ, გაივსო მილე-
თის საღმრთო, ყვაველ ღამ, ბალღებ მიანი-
ნავებენ თუ არა, დუქნებჩი არყით და კონია-
კით მოილორნეს, სრულ ითვრენ, მეძაგ-
მრუშობას მიჰყვინეს სელი... გაუქმდის აღ-
რინდელ დაწყობაი. აქაველ უფრო ჯანმრ-
თელ არ.

— რომელი ქვეყანა სჯობია, მაძლარი თუ
მრთელი?

— ორივენ ერთადა. უერთურთოდ ქვეყანაი
გონჯაა.

— ორში რომ ერთი ამოგარჩევიინო?

— ორჩიდა? არჩევანზედ? ამ ღორღიან
კლდეთ ვიჯობდო, ჯანმრთელია. ადამის ძეი
ბალახიაც, გაჭირდის, გაძლების, სატიკიარს
რაი ეყვის? წამალ არ გვაქვენ საქმარი, მთა-
ვარ საფთიაქო სამმართველოს რომ უხმო-
ბენ, ის კიდენა თბილისჩია მარტო.

— ერთი მითხარ, თუ ღმერთი გწამს, აი
პირდაპირ რა შენობა დგას?

— საბჭო არ.

— საბჭო რადა არის?

— საბჭოი? აქაიდ არს სენაკ, სად სამარ-
თალი ბჭოთაგან იბჭოდის. რაიც მიძიმა საქ-
მე სხვჩი ავარდის, მუნ იბჭობდინეს. როდეს
ასტყვის ერობაჩი დიდ-დევა, დიდ-საქმე,
დიდ-არჩევანი, ერობას აქაიდ გამართვინ,
აირჩივინ ბჭედა ბრძენ ბერ-კაცნი, პეიტ-
რობით სახელდებულნი, დასხმინ მათ იმ სე-
ნაკი საბჭობად. რაიც იგნ ბჭენი ჰსთქმიან,
გადაჰსჭრიდიან, არვინ შეშლიან, არვინ გა-
დავლიან.

— მაშ მათი სიტყვა და საქმე ერთია, ეგ-
რეა ვითომ?

— აწინა?

ჩაოქირდა ჩემი მოხვევა და პასუხი კი არ
მომცა. ცოტა ხანს შემდეგ თვითონ მკითხა:

— შენ რაი მილეთის ხარნი?

— ქართველი ვარ, განა ვერ შემატყვე?

— რაიდ შეგეტყვის? ტალავარ არ გაქვენ
ქართველთა: უცნოდ მორთულხარნი. „ადიდას“
გაცვიან, ბოტას გაცვიან, ჯოკეი გხურავენ.

— განა კაცს ქართველობა მარტო ტანისა-
მოსზე შეეტყობა?

— თვალთათვის ტყობად სამასელ არნა.

— ენა და საუბარი?

— ნამდვილ ქართველთ ენად ბევრი ქარ-

თველი აღარ საუბრობს. თავში არ მითხარ, „პაპუტინი“ მგზავრი არ ჩამისვალ?

— ტანისამოსს ქართვლისას კი ცოტანი იცმენ?

— ქართველი ტალავრის იერი სრულად სხვაია. იმპორტინი ქართველ კაც შეუცნობის.

— ქართველი გულით უნდა ქართველობდეს, თორემ ტანისამოსი რა არის?

— მართალ ხარნ. მაგრამად გულჩი ვინ ჩაინდნის? გული შიგნით არნ, უხედველ, ტალავარ გარედ არნ, სახედველ.

— თუმცა მე „ადიდასი“ მაცვია, დამიჯერე, რომ გულით ქართველი ვარ.

— იქნების. ესეცა: აწინა მშვიდება ჩამოვარდნის, ყოველი ძმანები ვარნ — ქართველიც, რუსიც, სვამეხიც, ოვსიც, თათარიც, სხვა მილეთიც. ამ გზასაც კმობის გზად უნმობენ აწინა. მვ წელს დიდზეიმიც გადავიხადეთ, გზაიც უფრო მკვიდრ გახდის, გზაკიდურზედ საღნის ერთგულთა ვაჟათა ბევრ ხელთუქმნი ძეგლი გაჩნდის, მაშინ თქვეს — ძეგლები შეუვალ და შეუღვე არნ, მშენებლებსაც, ძეგლების დამდგმელთ, დიდ ფულ უბოძვის, გუჯარნიც გაჰსცისო... რაიდ გინდა რა, აწინა ყველაი გაცუდდის — ზოგი დავარდნილ, ზოგი გაღაბულ არნ. საცინალ არს: ჯვარს ქვემოთ ერთ ძეგლ ქარმა წაუდის, ასავალ-დასავალ ვერ მიაკვლივინს. შაწუხდის ერი, დაჰსცის კიჟინა, ყური კი არავინ ათხოვის. დაცემულ ვინ აღადგინის? გაცუდებულ ვინ შეაკეთის?

— ?!

ჩემმა მოხვევებ შე კიდევ ბევრი სხვა რამ მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისი სიტყვით თავის გულისსტიკვილს მიმანვედრა.

ჩემი ცლა მარტო იმაშია, რომ იმის აზრისათვის იმისივე ფერი შემერჩინა და იმის სიტყვისათვის იმისივე კილო. თუ ეს შევასრულე, ჩემი განზრახვა შემისრულებია.

P. S. „მგზავრის წერილები“ ნაწევრი განვაახლე 1986 წელს — მისი დაწერიდამ 125 წლის თავზე. შემინდოს უფალმან ილიამ!

დონ ჰეარო



აქ არვის — დიდსა თუ პატარასა, — ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული...

პარკალთასი

მოგონებები გარდასულ დღეთა

ჩემ დღეში არ დამავიწყდება ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა, ერთმა ავტორიტეტმა გამოთქვა ჩვენსა, როცა «Современник»-ის კითხვაზე წამესწრო.
 — გაისხენე ჩემი სიტყვაო, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წახდებ, როგორც ი. ჰეგუვაძე წახდა. ისიც აქ შილდერის, ბაირონის და ვალტერ სკოტის კითხვის მეტს არან შერებოდა და დაეხსა თავსლაფი, ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა: უდიპლომით წაბრძანდა... აბა, ესლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმან?..

ნიკო ნიკოლაძე

აკაილიასუბუკად

მთელი ცხოვრება „იღვაწა“ ანგლოზითა და ყილით, ფორმით კაცსა ჰგავს, კაცობის არაფერი აქვს ზიარი (კაცობას უტებს სახელსა თვითონ ცუდსახელიანი). თავის თავს მეფეს აღარებს, სხვები ჰგონია „რქიანი“, დღედაღამ ფიქრობს იმაზე, მწვადი სად ჰამოს ცვრიანი. ლუარსაბ თათქარძის ჰგავს დიდმუცელკარგმადიანი, სურს არ ატოროს მარჯვენი, და „დღევით“ იყოს ფნიანი,

ჰქონდეს ცხოვრების დევიზად დროსტარება და გრიალი, ერისკაცობა ამტკიცოს ყანწით, ჭაბით და ფიალით... შინ უღვეს წიგნთა ტომები. — გაღაუშლილი, მტვრიანი, მისთვის უცნოა წიგნების და პოეზიის ტრფიალი, ბრიყვი, რეგვენი, თავისთვის არის საკმაოდ ჰქვიანი... მას რომ ვუყურებ, სულ ვფიქრობ: კაცია, აღამიანი? ◊

ვანო ცინცაძე

რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

შენს იუბილეს ელოდა ფეხზე ამდგარი სამყარო!..
ჩვენ კი შენს საქართველოდან რა გითხრათ? რით გაგახაროთ?
შენ რომ ერობა დატოვე, კვლავაც ერობს და ქართველობს!..
შენც იცი, ბევრჯერ დატოვეს, მაგრამ მსწევობს და კვლავ მთელია!
შენ რომ მამული დატოვე, იცოცხლე, იგი მამულაობს!..
მეტ ძლიერებას ნატრობენ, — მცირედით გული არ გულობს!
ბევრი გვყავს შვილი ნაქებნი, ქვეყნის და ერის ერთგულნი,
მათი სადარი საქმენით სხვა ცისქვეშ ცოტა გვეგულვის!
ახლა მეც მინდა შენსავით მოყვარეს პირში ვუძრახო:
ზოგ ქართველს შურის მთესავი, ზოგსაც გულხარბი ვუძახო!
ზოგის სიგლახეს ვერ ვამხელთ, საფლავში ცოცხლად ვინც გემარხავს,
ფულის მფლანგველებს გვეძახდნენ, დღეს კი მიწაში ვინახავთ!
ზოგი ფინია არწივობს, ზოგს სულში უზის ეშმაკი,
ერთმანეთი რომ გაეწიროთ, ოდიღან მოგვდამს ეს ნაკლი!
ზოგს ჰქვია ფულის მშოვნელი, გულადიცა და პურადიც,
ზოგი შვილი და მშობელი ოქროში ცურავს ყურამდი!
ზოგს დაებნდა გონება! — ქონებამ ასე დამართა!
კარჩაქეტილმა ცხოვრებამ საქვეყნო ფიქრი წაართვა!
დავითთოვდით ზოგ-ზოგნი, როგორც შენ თვითონ ბრძანებდი!
პირადი საქმით ყულამდი, ცალ-ცალკე ყოფნას დავენებდი!
აღბათ ბევრი რამ გამოგერჩა!.. ველარც სიმრავლით ვერ ვჯარბობთ,
თუ ნიჭიერი გამოჩნდა, უნდა ვდევნოთ და შევჭამოთ!
ჩვენი ბრალაია, რაც ხდება, თავი არ უნდა დავხაროთ!..
ამდენი რამის მხსველმა რა გითხრათ? რით გაგახაროთ?

მიგობრული შარყი თამაზ გომოლაძის



მანია ჩიბურდანიძე: მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი..

ნარკვი

მუღამ ფორმაშია

მუღამ სპორტულ ფორმაშია ლუ-
არსად თათქარიძე: „ადიდებში“ გამოწყო-
ბილი, იგი დღეს, სულ მცირე, 12 საათის
განმავლობაში აქტიურად გორაობს დივან-
ზე.

აბტორიტატი

ბავშვმაც კი იცის სოფელ კუდიგო-
რაში მალაჩის გამგე-გამყიდველ-დამლაგე-
ბელ-სექციონერის კაკო ბლაქიაშვილის სა-
ხელი. იგი უხვად სარგებლობს მომხმარებ-
ლებში დამსახურებულად მოპოვებული „კა-
კო უაჩლის“ ავტორიტეტით.

ბარაზრაზები

- კაცად მაშინ ხარ საქები, თუ ეს წესი წესად დარგე — ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხო: აბა, დღეს რა შევიმატე?
- მისამარას პირში უძრახე, თუ გინდა გაგიორგულდეს!
- არ არის მკვდარი, ვინც მოკვდეს, მუცელს შესწიროს დღენია, მკვდრად იგი თქმულა, ვისაც აქ ქონება არ ღარჩენია.

ფელიქს კოხიაშვილი

ვიდრა იყავი..


ცამ პოეტად დაგნიშნა, ერმა — თავის მამად!..
ეს არაფერს არ ნიშნავს, თუ არ გასცემ ამავს!
შენ კი ერის სადარდელს შეალიე დღენი;
და ფიქრები გაგვანდე ლელთ ღუნის ენით!
ვიდრე იყავ ცოცხალი, ბევრს ზაფრავდი შიშით,
დაუნდობლად ცოცხავდი ჩვენს მტრებს უცხო ჯიშის!
ცას და ერს რომ არ ეშვი პოეტად და მამად,
ჩვენი მტრების თარეში აგვიკლდებ ალბათ!
მოახმარე ზღვა ნიჭი, ვინც გშობა და გზარდა,
შენი ყველა ნაბიჯის ასაყოლად მზად ვართ!..

ტყუარა

ვინც ხმარობდა იარაღს, რა იქნება, ესმოდეს:
ჭავჭავაძეს კი არა, საქართველოს ესროლეს!
ჭაუბა სად აქვს იარაღს, ამდენი რომ ესმოდეს:
საქართველოს კი არა, ჭავჭავაძეს ესროლეს!
არ შუშდება იარა, უშუშარი ესოდეს!..
მათ ცალ-ცალკე კი არა, ტყუარებით ესროლეს!
რას დააკლებს ის ტყვია ერს და ერის მოთავსეს?!
საქართველო, ილია — უკვავია ორთავე!

მოითმარაქვია ერისკაცს

ილიაობაც კი მოვინდა, წუთით გაგინდნენ მომხრენიც,
მუნ გადაიცვი მუნდირი, ახალი როლით მოხვედი!
ნაძრახი საქმით, კაცობით შეიქმენ ტკბილი ცხოვრება,
და წარსული რომ მიჩქმლო, დაეძებ სულის ცნონებას!
თავშესაფარი იშოვე, თავს ერისკაცად გვისაღებ,
მისაღებაც კი მოიწყვე, აღბათ „მიიღებ მისაღებს“!
შენ რომ სიცოცხლით დაღინარ, იმას სჯობია სიკვდილი!
ვერც მუბლში ტყვია გიშველის, ვერც წიწამურში სირბილი!
განსოვდეს: მტრები ერისკაცს ვით ქრისტეს, ჯვარზე აკრავენ,
ილიანდარებს არჩევენ, შენნაირ გლახაკს არ კლავენ!



ახალი

რუბრიკა

მუხლიური კომუნი
ნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი მთელი სიმკაცრით იბრძვიან უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ.

უშრომელ შემოსავალს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. მას, ასე ვთქვათ, ჰყავს თავისი კლასიკოსები. წამით თვალი გადაავლეთ დიდ ქართულ მწერლობას, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოდა და იბრძვის ადამიანის ზნეობრივი სრულყოფისთვის, გაიხსენეთ ლუარსაბ თათქარიძე, ტარიელ მკლავაძე, იერემია წარბა, ისაკა ჭამიაშვილი, იასონ უქმაძე, დავით დროიძე, კირილე მიმინოშვილი და სხვანი.

ჩვენ კერძო პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადოებრივ ვწერთო! — ბრძანებდა დიდი ილია ლუარსაბის გამო. ჩვენ კი სწორედ კერძო პირებზე დავწერთ. იმ არაკაცებზე, ათეულებზე და სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეულებზეც, რომელთაც მოსჩვენებიათ, რომ შეუძლიათ დაუსჯელად იპარპაშონ და იცხოვრონ ხალხის ხარჯზე, მშრომელი, პატიოსანი, უთქმელი ადამიანების ხარჯზე!

„ვეფხისტყაოსანი“ მოიგონეთ!
კაცი ვარ, ადამიანიო! — ამ სიტყვებით ცდილობს ავთანდილი შემკრთალ-შეშინებული ასმათის დამშვიდებას.

სწორედ ავთანდილის სიტყვები გააქვს თავისი უკუდავი მოთხრობის სათაურად ილიას, ოღონდ მას შეკითხვის სახეს აძლევს: ავთანდილიც კაცია, ადამიანი, და ეს უსაქმური მუქთამჭაელიც... კაცია, ადამიანი?!

„ნიანგში“ ამიერიდან იხსენება ახალი რუბრიკა „კაცია, ადამიანი?!“

ქალბატონებო და ბატონებო!

ნებო! ნამდვილად არ გირჩევთ ამ რუბრიკაში მოხვედრას!

ჩვენ გვესმის, რა დიდი სასჯელია ამ რუბრიკაში კაცის ჩავდება, მაგრამ ისიც ვიცით, რა დიდია ამ რუბრიკაში მოხვედრილობა დანაშაული! — კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის მატარებლებს, კონსერვატორებს, უშრომელი შემოსავლის ფინით შეპყრობილებს, ბიუროკრატებს, ფორმალისტებს, კარიერისტებს, მუქთამჭამელებს, ნარკომანებს, ნარკოტიკებით მოვაჭრეებს, ქურდებს, ბანდიტებს, ხულიგნებს, მექრთამეებს, გამომძაღველებს, სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს, წამალელებს, ანონიმთმთხვევლებს, დემაგოგებს, ხეირისა და ანგარების მოყვარულთ, გამფლანგველებს, ცილისმწამებლებს, პარაზიტებს, თაღლითებს, მაქინატორებს, კომბინატორებს, გაურჯელად ფუფუნებაში მცხოვრებთ, ყოყოყებს, ქედმაღლებს, ყომარბაზებს, სპეკულანტებს, ლოთებსა და ალკოჰოლიკებს, მეძაფ-მემრუშეებს, — ყველას, ვინც დაეარგა ადამიანური ღირსება, შეწყალდების იმედი ნუ ექნებათ! ამასთან გბრძობით: იმ პირთა გვარებს, ვინც რედაქციაში დარეკავს ან თავად მობრძანდება და შეეცდება, უარი გვათქმევინოს რუბრიკაში დასასტამბავად გამზადებულ მასალაზე, დავბეჭდავთ ამავე რუბრიკაში!

პატივცემულო მკითხველებო! მოგაწოდეთ ამ რუბრიკაში მოსახვედრ ანტიპოდთა ანკეტური მონაცემები და ფოტოსურათები!

შურნალ „ნიანგის“ რედაქცია

საბჭოთა და ინტერნაციონალური შურნალი „ნიანგის“ № 19
20. (1750). ოქტომბერი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი
ზაურ გოლავაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ ადიეშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი).
ჭაბუა ამირეჯიბი, ნოზდო ბართია, ზორის გურგუშია, რევაზ თვარაძე, ჭემალ ლოლუა, ნოდარ მალაზონია (მხატვარ-რედაქტორი), ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფჩივაძე, ნაფი ჯუსიოთი.

ტექნიკური რედაქტორი
ირაკლი ღუნღუა

გადაეცა ასაწყობად 21. 09. 87 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26. 10. 87 წ. ქალაქის ზომა 60x90, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3,0, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 3,8, საქართველოს კ. ც. კის გამოცემლობა, ლენინის 14. შეჯ. 225რ უე 04885, ტირაჟი 145.000. შურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 850008, თბილისი-8, რუსთაველის პროსპექტი № 42.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუსეების — 99-02-38, მდივან-მემატეების — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке) (Тбилиси, пр. Руставели № 42. Издательство ЦК КП Грузии, Ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 40 კპ.
ინდექსი 76137





ზატრო: — კაკო, ამ ტენისპირა უარაგზაზე რომ უა-
ჩალოზ, წამო ძალაქში, ცოტაა საყარალო?!